პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
[illegible] ორგანო

№ 277 შაბათი, 1 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 1,000,000 მ ნ. № 277

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 15 კ. ჩვეულებრივი ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩვეულებრივით.

Коллекция

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

საბერძნეთში გამოცხადებულია რესპუბლიკა; [illegible] პრეზიდენტად არჩეულ იქნა ვენიზელოსი.

ანატოლიის რკინის გზა გამოსყიდული იქნება ოსმალეთის მთავრობის მიერ.

იტალიის მთავრობამ დაადგინა სთხოვოს პარლამენტს მუსოლინის უფლებების გაძლიერება.

გერმანიის მთავრობის შედგენა მიენდო ხალხთ პარტიის მარჯვენა ფრთის ლიდერს მარქს.

შესაძლებელია გერმანიის მთავრობის თავმჯდომარედ დარჩეს ისევ შტრეზემანი.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

მთავრობის კრიზისი გერმანიაში ვითარდება დროებით შენელებული სამოქალაქო ომის პირობებში და ეს აძლევს მას გარეგნულად თითქოს ჩვეულებრივი საპარლამენტო კრიზისის ელფერს. ფაქტიურათ კი, მიუხედავათ იმისა, რომ იქ არა აქვს ადგილი გადამწყვეტ რევოლიუციონურ ბრძოლებს, კითხვა მაინც არსებულის ყოფნა არ ყოფნის შესახებ სდგას: მინისტერიალური ოთურმა, რომლის მოწამე ჩვენ ვართ, განაგრძლივებული უუნარიანობა გაბატონებული კლასებისა შეადგინონ გარკვეული სახის მატარებელი მთავრობა, მოწმობს იმაზე, რომ საბოლოოთ შერყეულია თვით ნიადაგი, რომელზეც დაყრდნობას სცდილობენ ისინი. ამ აზრით კრიზისი მთავრობის არის კრიზისი მთელი რეჟიმის და როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ის ამ დღეებში მარქსის კაბინეტის შედგენით, რომლის შესახებ ჩვენ გვაუწყებს სულ უკანასკნელი რადიო-დეპეშა—ისტორიული მუდო მაინც განაგრძობს განწირული რეჟიმის ღრღნას და მის თანდათან დაშლას.

გარეგნულ გამოხატულებას ეს გარემოება პოულობს—სულაც, რომ არ ვილაპარაკოთ ამ ქვეყნის ეკონომიურ პოლიტიკური რღვევის შეუჩერებელ პროცესზე—იმ გამოსვლებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა სულ უკანასკნელ დღეებში ბერლინში და ამას გარდა იმ დაშლა-დაქუცმაცებაში, რომელიც მოუდო კიდევ უფრო მეტათ, ვინემ წინეთ კაპიტალისტური რეაქციის ერთ-ერთ საძირკველს გერმანიაში—სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

როგორც პირველი, ისე მეორე რიგის მოვლენები აშკარავებენ იმ ფაქტს, რომ ძალები რევოლიუციის კვლავ იზრდებიან, მიუხედავათ არალეგალურ მდგომარეობაზე მათი გადასვლისა, ხოლო არსებული რეჟიმის დამცველთა რიგებში ისევ არევდარევას აქვს ადგილი და მათ გარკვეული ნავთსაყუდელისთვის ვერ მიუღწევიათ. მთავრობის პერმანენტული კრიზისი მაჩვენებელია ასე ვთქვათ გარდამავალი ხანისა თვით გარდამავალ ხანაში და ის მიაღწევს საბოლოო გადაჭრას მხოლოთ რეალურ ძალთა გადამწყვეტ შეჯახებათა შემდეგ, რომლის მოლოდინში არიან ყველა, როგორც ბურჟუაზიული რეაქციის, ისე კომუნისტური რევოლიუციის მატარებელნი.

მაგრამ რევოლიუციონურ ძალთა ასეთი გადამწყვეტი ამოძრავება ბევრათ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი ტემპით იწარმოებს მშრომელთა ფართე მასების გადასვლა ერთათ-ერთი რევოლიუციონური პარტიის მხარეზე, რამდენათ ღრმათ წავა უკვე დიდი ხნით ადრე დაწყებული გახრწნა მენშევიკური სოციალ-დემოკრატიისა.

თვით ის ფაქტი, რომ ამ პარტიის ხელმძღვანელი ბიუროკრატია ცდილობს დღეს ორგანიზაციულად ჩამოიცილოს მემარცხენე ნაწილი, მოწმობს იმაზე, რომ ეს უკანასკნელი—უნდა ეს სუბიექტიურათ მას თუ არა—აკეთებს მაინც რევოლიუციის ძალთა გაძლიერების საქმეს. ჩვენ საკმაო საბუთი გვაქვს საზოგადოთ მემარცხენე სოციალ-დემოკრატების საქციელის გამო, ვსთქვათ, რომ ისინი არ წარმოადგენენ რაიმე დადებითი ღირებულებას სამოქალაქო ომის პროცესში, როდესაც სწარმოებს გადამჭრელი ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მათი ოპოზიცია „გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიის" რიგებში ჰქმნის ამ პარტიის შიგნი ხელსაყრელ ატმოსფერას, უკმაყოფილობისა და უნდობლობის სულისკვეთებას პარტიის მმართველი ბიუროკრატიის წინააღმდეგ და თავისთავად ამზადებს მის შიგნი კადრებს, რომლებიც ადვილად ითვისებენ შემდეგ, გაშლილი ბრძოლის პროცესში, რევოლიუციონურ ტაქტიკას კომუნისტური პარტიისას. ამნაირად მზადდება სუბიექტიური პირობები ახალი რევოლიუციონური ტალღისთვის გერმანიაში. და როგორადაც არ უნდა გადაწყდეს მთავრობის კრიზისი იქ, ობიექტიური განვითარება თავის ნებას მოახვევს თავზე დღევანდელი გერმანიის წუთიერ ქალიფებს.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისრების საკავშირო თათბირი

(ჩვენი მოსკოველ კორესპონდენტისაგან)

ნოემბრის შუა რიცხვებში მოსკოვში მოწვეული იყო საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისრების თათბირი. თათბირზე გაირჩა საკითხები: მუდმივი თათბირის ორგანიზაციის, მიწათმოქმედების აპარატის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომარაგების, მიწათმოწყობის, სატყეო მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და სიმშილობის ლიკვიდაციის შესახებ.

თათბირის ძირითად საკითხად უნდა ჩაითვალოს **რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისრების მუდმივი თათბირის ორგანიზაცია**, რომლის დანიშნულება იქნება სოფლის მეურნეობის დარგში იმ კანონმდებლობის გამომუშავება, რომელიც უნდა გატარდეს მთელ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, როგორც მაგალითად სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა, კრედიტი, ხორბლით დახმარება, მიწათმოწყობა, გადასახლების საკითხები, მელიორაცია და სხვა. თათბირის სხდომები მოხდება პერიოდულად წელიწადში სამჯერ. სხდომები იწვევიან რომელიმე სახ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახ. კომისრის ინიციატივით. თათბირის დადგენილებებს ამტკიცებს საკავშირო ცაკი. თვით თათბირს არ აქვს არავითარი ადმინისტრატიული და გამგებლობითი ფუნქციები. ის წარმოადგენს ნებისყოფლობაზე აგებულ ორგანიზაციას და მიზნათ ისახავს საბჭოთა რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის დარგში მუშაობის შეთანხმებას.

მიწათმოქმედების აპარატის შესახებ მიღებული იქნა დადგენილება, რომ სასურველია ყველა საკავშირო რესპუბლიკებში აპარატის სტრუქტურის ერთგვარობა და მისი გლეხობასთან დაახლოვება.

გაკეთებულ იქნა ინფორმაციული ხასიათის მოხსენება რუსეთის მიწათმოქმედების კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურის პროექტის შესახებ. პროექტი უმთავრეს ყურადღებას აქცევს ძირითად უჯრედებს—საუბნო აგრონომიულ პუნქტებს, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებული არიან სოფლის გლეხობის მეურნეობასთან. საუბნო პუნქტები უნდა გაძლიერებული იქნან როგორც თანამშრომელთა რიცხვის მხრივ, ისე მათი შერჩევითაც. შემდეგ მოდის სამაზრო განყოფილება, რომელიც შესდგება 3—4 სპეციალისტისაგან. საგუბერნიო განყოფილებებში რჩება ხუთი მართველობა, რომელთა შორის ძირითად ითვლება სოფლის მეურნეობის ნაწილი.

სოფლის მეურნეობის მანქანების მომარაგების საკითხში, თათბირმა, მიიღო რა მხედველობაში, რომ გლეხობას არ შესწევს ძალა მანქანების შესაძენათ, სცნო საჭიროთ გაცემული იქნას სახელმწიფოს მიერ 30 მილიონი ოქროს მანეთი გლეხობისათვის ოთხ წლიანი კრედიტის გასახსნელათ. კრედიტის გაცემის დროს უპირატესობა უნდა ეძლეოდეთ სასოფლო კოოპერატივებს და სამანქანო ამხანაგობებს. საზღვარგარეთიდან უნდა შემოტანილ იქნას თესლის გამწმენდი და სხვა მანქანები. მანქანების გადაზიდვა რკინის გზით უნდა ხდებოდეს დაკლებულ ფასებში მანქანების გაყიდვაში, გასაქირავებელ და თესლის გამწმენდ პუნქტების მოწყობაში და არსებულის ექსპლოატაციაში უნდა გამოყენებული იქნან სასოფლო კოოპერატივები.

მიწათმოქმედების ორგანოები ახლო უნდა იდგენ სასოფლო მეურნეობის მანქანების წარმოებასთან, მანქანების ტიპების და მარკების შექმნის მხრივ.

მიწათმოქმედების საკითხში თათბირის მიერ მიღებულია დადგენილება უმთავრეს ყურადღების აქცევს **საამხანაგო ფორმების** (სამეურნეო ამხანაგობები, კომუნები, კოლექტივები) განვითარებას. მათ უნდა მიეცეთ უპირატესობა სხვების წინაშე და აღმოეჩინოთ ყოველგვარი დახმარება (კრედიტის მიცემით და სხვა). მიწათმოწყობა საერთოდ უნდა იქნეს თავისუფალი და სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს მასში, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, სადაც მიწათმოქმედების კომისარიატი სცნობს ამას საჭიროთ. მიწათმოწყობის მუშაობას უნდა ქონდეს მიზნად ხელი შეუწყოს რაციონალური მეურნეობის წარმოებას და მეურნეობის ახალ ფორმებზე გადასვლას.

სამელიორაციო საქმეში საჭიროა მელიორაციის იდეების მცხოვრებლებს შორის გავრცელება, სამელიორაციო ამხანაგობების შექმნა, კრედიტების გაცემა ამ საქმისათვის და ტეხნიკური ზომებით დახმარება.

გადასახლების და კოლონიზაციის საკითხის ფართოთ გატარება ახლანდელი პირობების მიხედვით შეუძლებელია. თათბირი სცნობს საჭიროთ, რომ გადასახლება ხდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა გადასასახლებელ ადგილზე მოწყობილია ყველაფერი საჭირო მეურნეობის დასაწყებათ.

სატყეო მეურნეობის დარგში საჭიროთ იქნა ცნობილი—ცალკ-ცალკე რესპუბლიკების წარმოებითი გეგმის **შეთანხმება, სატყეო კონცესიების** გაცემა, სატყეო მასალის გაცემის წესის შემოღება, სატყეო კოოპერაციის ფართე ორგანიზაცია და სატყეო მეურნეობაში მომუშავეთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საკითხში გადაწყდა საკავშირო მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოწყობა. ბანკის აქციონერებათ იქნებიან საკავშირო რესპუბლიკების მიწათმოქმედების კომისარიატები და საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატი. ბანკის ძირითადი თანხა უნდა შეადგენდეს 55 მილ. ოქროს მანეთს. ბანკი თავის მოქმედებაში ემორჩილება მიწათმოქმედების კომისრების თათბირს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს. გარდა საკავშირო ბანკისა, თვითეულ რესპუბლიკაში უნდა მოწყობილ იქნეს ადგილობრივი ბანკები.

ხ. გ.

მოსკოვი, 22 ნოემბერი.

წერილები ბერლინიდან

ორნი არიან, ტოლნი არიან...

გარეშე მაყურებლის აზრით, რომელიც არ იცნობს სინამდვილეს, კონფლიქტი ბერლინსა და მიუნხენს შორის, შტრეზემანსა და ფონ-კარს შორის, არ შეიძლება მოგვარებული იქნეს. სინამდვილეში კი ეს კონფლიქტი არც არსებობს. ორი წლის წინეთ შტრეზემანი ქადაგებდა იმ აზრებს, რომელსაც დღეს ასე მტკიცედ ატარებს ცხოვრებაში ფონ-კარი. ეს ორივე „რესპუბლიკანელი" ერთსა და იმავე ცომიდან არიან გაკეთებული; ერთსა და იმავე საზოგადოებრივ კლასს ემსახურებიან; ორი ისინი ორი სხვადასხვა სახით ორ სხვადასხვა სფეროში აკეთებენ ერთსა და იმავე საქმეს. ისინი არ ებრძვიან ერთი მეორეს, ისინი ერთი მეორეს დამატება არიან.

უკვე სამი თვეა, რაც გერმანიაში უფრო და უფრო აშკარავდება, რეაქციის შეტევაზე გადასვლა, ე. ი. მსხვილი კერძო საკუთრების თავდასხმა მშრომელ მასებზე. ჯერ რეაქცია ფიქრობდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შეიარაღებული გადატრიალების საშუალებით; მაგრამ სამოქალაქო ომის საფრთხემ რეაქცია შეაფიქრიანა, უკან დაიხია და საშუალება შექმნა „დიდი კოალიციის" აღდგენის. რეაქციამ სხვა გზა მონახა ძალაუფლებისაკენ. ის დაადგა ძალაუფლების „კანონიერათ" მოპოების გზას.

ამაში მდგომარეობს შტრეზემანის მიზანი ბერლინში და ფონ-კარის მიუნხენში. შტრეზემანისა და ფონ-კარის ზურგს უკან დგანან იგივე კაპიტალისტები. რეაქციის თითეული გამარჯვება მიუნხენში, საშუალებას აძლევს საიმპერიო მთავრობას გამოააშკარაოს დემოკრატიის უძლურება და სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური უბადრუკობა. შტრეზემანის თითეული უკან დახევა ამხნევებს მიუნხენის რეაქციონერებს. საიმპერიო მთავრობას მიზნათ აქვს დასახული სახელი გაუტეხოს რესპუბლიკანურ რეჟიმს, თვალები აუხვიოს ყველას, სანამ პროლეტარიატს საბოლოოთ განაიარაღებენ, გზა გაუკაფოს მემარჯვენე დიქტატურას, რომლისთვისაც მიუნხენის ხელმძღვანელები ამზადებენ საორგანიზაციო ცენტრს.

შეგნებულათ სწარმოებს ეს კამპანია თუ არა? შეგნებული პოლიტიკური უმრავლესობა მარჯვნიდან, რასაკვირველია, მაქსიმუმი ენერგიით და ყურადღებით იღებს მონაწილეობას ამ კამპანიაში. მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს არ სურთ მიიღონ ეს მხედველობაში და აღიარონ ეს ფაქტი.

მათთვის ეს ძლიერ ძნელი საქმეა.

ფაშისტურმა ბავარიამ ძალაუფლება გადასცა მონარქისტ-ანტისემიტს; გაუქმებულია ყველა კომუნისტური ორგანიზაციები; შეკვეცილია სოციალდემოკრატიული პრესის თავისუფლება; დღის სინათლეზე ასეული შეიარაღებული ფაშისტები ხელში იგდებენ საიმპერიო ოქროს მარაგის ნაწილს; გაუქმებულია ზოგიერთი საიმპერიო კანონები; გაწყვეტილია კავშირი ბერლინის „კანონიერ" დიქტატორთან—ჰესლერთან; თავის მფარველობის ქვეშ მიიღო და თავისი არმიის უფროსად დანიშნა გენერალი ფონ-ლოსოვი, რომელმაც აჯანყების დროში აღფრიალა ცენტრის წინააღმდეგ. მაგრამ „უთანხმოებაში ბერლინსა და მიუნხენს შორის ამათ დაუწყებდით ძებნას გალაშქრებას რესპუბლიკაში არსებული კონსტიტუციონური რეჟიმის წინააღმდეგ",—ასე სწერდა ამას წინათ ერთი ოფიციოზური გაზეთი.

საქსონიამ შექმნა მუშურ-გლეხური მთავრობა, მოაწყო მუშათა რაზმები, რესპუბლიკის დასაცავად. რა საშინელი საფრთხეა კონსტიტუციისათვის!

„გერმანია" (კათოლიკური ცენტრის ორგანო) გულუბრყვილოდ აცხადებს:

„საქსონიის მთავრობა, რომელიც სავსებით კონსტიტუციონური გზით მოეწყო, გადააყენა საიმპერიო მთავრობამ, რომელსაც კონსტიტუციის არც ერთი პარაგრაფი არ აძლევდა ასეთი ნაბიჯის გადადგმის უფლებას".

კიდევ ერთი მოღალატეობა.

კამპანია, პრესის მიერ დაწყებული იმდენათ ყალბია, რომ საქსონიის დემოკრატიულმა პარტიამ (ბურჟუაზიის) დეპეშა გაუგზავნა შტრეზემანს, რომელშიც აშკარავებდა ამ ცნობების ნამდვილ ხასიათს, აუწყებს გერმანიას, რომ საქსონიაში დამყარდა „კომუნისტური ტერორი".

საქსონია აივსო რეიხსვერის ნაწილებით. პროლეტარების ხოცვა დაუსჯელათ რჩება. მემარცხენე სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა ნაკლებ გაბედულია, ნაკლებ ენერგიულია, ვიდრე ფიქრობდენ ბარიკადების ორივე მხარეს. 28 ოქტომბერს შტრეზემანი ულტიმატუმს უგზავნის ცეიგნერს: მუშური მთავრობა უნდა გადადგეს. 29 ოქტომბერს ცეიგნერის მთავრობამ უარი განაცხადა გადადგომაზე, 30 ოქტომბერს, დ—რი გეინცე, საიმპერიო მთავრობის მიერ „საქსონიის თავისუფალ სახელმწიფოში" რწმუნებულათ დანიშნული, მიემგზავრება დრეზდენში. ჯარები მუსიკით იკავებენ სამინისტროების შენობებს. ჯარისკაცები კაბინეტებიდან მიერეკებიან მუშა-მინისტრებს. ცეიგნერი გამოდის კაბინეტიდან ჯარისკაცების თანხლებით. გენერალმა მიულერმა აკრძალა ლანდტაგის სხდომა.

მუშური მთავრობა თავის თავს ერთად-ერთ კანონიერ მთავრობად აცხადებს. პროფკავშირების გაერთიანება, სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირი, კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები მოუწოდებენ მუშებს გამოაცხადონ სამი დღის საპროტესტო გაფიცვა. ამ მოწოდებების გავრცელება აკრძალა მიულერმა.

ეს ხომ ის დიდი კლასობრივი ბრძოლა არ არის, რომელსაც ჩვენ რამდენიმე თვეა მოველით? 30 ოქტომბერი.... მეორე დღეს ბერლინში მოდის ცნობა, რომ საქსონიაში მოეწყო მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების (ფელლიშის) მთავრობა. სოციალ-დემოკრატებმა ჰპენცეს ხელიდან მიიღეს სამინისტრო პორტფელები, რომლებიც ძალით გამოსტაცეს მათ პარტიულ ამხანაგებს. საყოველთაო გაფიცვა ჩაიშალა; რის გამო? სოციალისტები შევიდენ მთავრობაში.

არაფერი არ მომხდარა.

„ფორვერტს"-ი ამტკიცებს, რომ „ხომ არ შეიძლებოდა მართლა ძალაუფლების კომუნისტების ხელში დატოვება"-ო... შტრეზემანი მართალია, კომუნისტები არიან ყველაფერში დამნაშავე!

მემარჯვენე პრესამ „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ"-თან ერთად თავისუფლად ამოისუნთქა:

როგორც იქნა!

მთელმა დემოკრატიულმა პრესამ გაკიცხა შეიარაღებული გამოსვლა წითელი საქსონიის წინააღმდეგ.

შტრეზემანის საქციელის წინააღმდეგ სასტიკად გალაშქრებისათვის აკრძალეს გაზეთი „ბერლინერ ფოლკს ცაიტუნგ".

მხოლოდ „ფორვერტს"-ი ამტკიცებს და მოქალაქე ებერტის და ბატონ შტრეზემანის დადგენილების კანონიერებას.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ფორვერტს"-ი მართლა იწონებს შტრეზემანის საქციელს.

მინისტრი სოციალისტები ამბობენ, რომ საქსონიის წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებებს სოციალ-დემოკრატებმა დასტური მისცეს საკუთარი ინტერესების გამო.

რა უნდა იყოს ასეთი უბადრუკი, ასეთი ორაზროვანი და უსუსური, როგორც გერმანიის გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის განმარტება არის:

„ნუ ჩქარობენ ჩვენს გასამართლებას... ჩვენ განვიხილავთ... ჩვენ განვმარტავთ... ჩვენ გავაკეთებთ"... ეს ხალხი გრძნობს, რომ რეაქცია სარგებლობს მათით, იყენებს მათ. მახვილი, რომელიც მათ ჩასცეს გერმანიის რევოლიუციას, ვერ იყო შესაფერად მოქნეული.

ამ საცოდავ, ნახევრად განადგურებულ სოციალ-დემოკრატიას, ბურჟუაზიამ გაარტყა ისეთი სილა, რომლის ღირსი იყო ის.

გაზეთი „დოიჩე ცაიტუნგ" 30 ოქტომბერს სწერდა:

„ყველაზე სუსტია სოციალ-დემოკრატია. ის წელში იკაკვება, რომ აიცდინოს საფრთხე. ახლა ყველაზე ხელსაყრელი მომენტია მისთვის მახვილის ჩასაცემათ. ახლა ან არასოდეს."

რამდენათაც მეტს ლაქობენ სოციალ-დემოკრატები, უფრო მეტად ეზიზღებათ ის. რამდენათაც ის უკან იხევს, მით უფრო მეტი საფრთხე მოელის მას.

რ. ალბერტ.

ბერლინი, 5 ნოემბ.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

გერმანიის ამბები

გერმანია უმთავრობოთ: პრეზიდენტმა ებერტმა ხალხთ პარტიის მემარჯვენე ფრთის ლიდერს მარქსს დაავალა ახალი მთავრობის შედგენა.

დაბეჯითებით ამბობენ, რომ შესაძლებელია მთავრობის თავმჯდომარეთ დაინიშნოს ისევ შტრეზემანი, რომელიც ამ შემთხვევაში დაითხოვს რეიხსტაგს.

კომპარტია იზრდება: მიუხედავათ სექტის ბრძანებისა, კომპარტია განაგრძობს მუშაობას. მისი რიგები მატულობენ.

კომპარტია იზრდება

კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ.

მოსკოვი. 30 ნოემბერი. პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს წევრმა ხამერმა „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ სექტმა თვითნებურათ და მთავრობის ნებადაურთველად აკრძალა კომუნისტურ პარტიის არსებობა. ეს იმას ამტკიცებს, რომ სექტი ფაქტიურად გერმანიის შეუზღუდავი მბრძანებელია და რომ დემოკრატია მის ფეხებთან აგდია. ის, რაც მუსოლინიმ ვერ გაბედა კომუნისტურ პარტიის მიმართ, გერმანიის ფაშისტურმა დიქტატორმა სექტმა მოიმოქმედა. ფაქტები სავსებით ადასტურებენ პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართულ გერმანიის თეთრი დიქტატურის არსებობას. ბურჟუაზიის გალაშქრება პროლეტარიატის წინააღმდეგ დაიწყო რევოლიუციონურ საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების ყრილობის აკრძალვით, კომუნისტურ გაზეთების დახურვით და მრავალ კომუნისტურ ბელადების დაპატიმრებით. ეკზეკუციას საქსონიის წინააღმდეგ ერთად ერთი მიზანი ჰქონდა—საქსონიის პროლეტარიატის განიარაღება. საქსონიის პროლეტარული რაზმები დიდ საფრთხეს წარმოადგენდენ ბურჟუაზიისათვის და ამიტომაც ისინი დაშლილ იქნენ. გაამაგრა რა თავისი ძალა და მდგომარეობა საქსონია-ტიურინგიის დარბევით, სექტი თავს დაესხა კომუნისტურ პარტიას. იგი ფიქრობს, რომ ერთის ბრძანებით შეუძლია გაანადგუროს მასიური პარტია, რომლის რიგებში 400 000 კაცი სდგას. კომპარტიის წევრთა რიცხვის და ძალის ზრდამ, გერმანიის პროლეტარიატის თანაგრძნობამ ამ პარტიისადმი, პარტიის გავლენამ მუშათა ფართე მასებზე და მისმა უნარიანობამ რევოლიუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის დააჩქარა პარტიის აკრძალვა. მაგრამ სექტის ბრძანება ვერ შეაჩერებს კომპარტიის მუშაობას, პირიქით, იგი გააძლიერებს პარტიის აქტივობას. პროფკავშირთა კრებაზე, საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტებში, უმუშევართა წრეებში, ქუჩაში, მუშათა უბნებში და თეატრებში,—ყველგან, სადაც შეიკრიბებიან გაჭირვებაში მყოფნი და არსებულ მდგომარეობით უკმაყოფილონი, ყველგან იწარმოებს აგიტაცია რევოლიუციის და კომუნიზმის სასარგებლოთ. 400,000 წევრიანი მასიური პარტია ვერ მოისპობა. მუშაობა იატაკის ქვეშ მკაცრი სკოლა იქნება პარტიისათვის, იგი განამტკიცებს, გაწვრთნის და მოამზადებს პარტიას იმ ამბების ხელმძღვანელობისათვის, რომელიც აუცილებელია ახლო მომავალში.

გერმანია უმთავრობოთ

კაბინეტის გარშემო.

პარიზი. 30 ნოემბ. გერმანულ გაზეთების ცნობით, ამჟამად იხილავენ საკითხს ახალ კაბინეტის შესახებ. კაბინეტში შევლენ ყველა ბურჟუაზიული პარტიები, და შტრეზემანი დაიკავებს გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობას.

შტეგერვალდის მიერ წარდგენილ კომბინაციას მოელის ოპოზიცია დემოკრატების მხრივ.

შტეგერვალდის დამარცხება.

პარიზი. 30 ნოემბ. ნაციონალისტების და დემოკრატების მტრული განწყობილების გამო, პრუსიაში კოალიციის შენარჩუნების და ბურჟუაზიულ პარტიების ბლოკის შედგენის საკითხში, ბერლინში ისევ პესიმისტური განწყობილება გაბატონდა.

შტეგერვალდის კანდიდატურა დამარცხდა.

ისევ შტრეზემანი

ბერლინი. 30 ნოემბ. ხელახლა დაისვა საკითხი, თუმცა სხვანაირი დასაბუთებით, კანცლერის თანამდებობაზე შტრეზემანის დანიშვნის შესახებ. მასვე მინდობილი ექნება რეიხსტაგის დათხოვნა.

მთავრობის კრიზისის გარშემო.

ბერლინი. 29 ნოემბერი. ბურჟუაზიული პარტიების მიერ მიღწეულ შეთანხმებას ბურჟუაზიული ბლოკის დაარსების შესახებ, რომლის მიხედვით უნდა შემდგარიყო სამინისტრო შტეგერვალდის მეთაურობით, აბრკოლებს დემოკრატიულ პარტიაში შექმნილი კრიზისი. დემოკრატების მემარჯვენე ფრთა სიმენსის და გოტჰეინის მეთაურობით მოითხოვს დემოკრატების აქტიურ მონაწილეობას მთავრობაში. მემარცხენე ფრთა, რომელსაც ხელმძღვანელობენ ერკელენცი და ფიშერი, ცდილობს ნეიტრალიტეტის დაცვას მთავრობისა და ბურჟუაზიული ბლოკის მიმართ; პარტიის მთლიანობის დაცვის მიზნით, დემოკრატებმა მიმართეს სხვა პარტიებს წინადადებით განაგრძონ შტრეზემანის საგარეო პოლიტიკის ხაზი. შტეგერვალდი და შტრეზემანი თანახმა არიან შევიდნენ მთავრობაში მხოლოდ დემოკრატების აქტიური მონაწილეობის პირობით. დემოკრატიული პარტიის ორთავე ჯგუფის ძალები თითქმის თანაბარია: მემარჯვენე ფრთა წარმოადგენს მრეწველობის ინტერესებს მემარცხენე—წვრილი ბურჟუაზიისა და მოხელეების. მემარცხენე ფრთა ცდილობდა მთავრობის შედგენას სახალხო პარტიის, ცენტრის და დემოკრატების წარმომადგენლებისაგან დემოკრატ კოხის ან სახალხო პარტიის წევრის კარდორფის მეთაურობით, მაგრამ ეს ცდა უნაყოფო დარჩა, რადგანაც ამას წინააღმდეგობა გაუწია პარტიის მემარჯვენე ფრთამ; ამის წინააღმდეგ წავიდენ აგრეთვე სახალხო პარტია და ცენტრი.

ნაციონალისტების საპარლამენტო ფრაქციამ მიმართა ებერტს და წერილით, რომელშიაც პროტესტს აცხადებს იმ პარლამენტარული წესის დარღვევისათვის, რომლითაც კაბინეტის შედგენა უნდა მინდობოდა ოპოზიციონურ პარტიებს.

წერილში ნათქვამია, რომ რაკი გამოირკვა ებერტის ყველა დამოუკიდებელ ცდების უშედეგობა, მთავრობის კრიზისის შემდეგი გაჭიანურება არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც სულ უფრო და უფრო უარესდება საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. ამიტომ რეიხსტაგი, რომელიც უკვე აღარ გამოხატავს პარტიულ ძალთა ნამდვილ შეფარდებას, დაუყოვნებლივ გაშვებულ უნდა იქნეს.

— ნაციონალურმა პარტიამ დაავალა თავის ფრაქციას პრუსიის ლანდტაგში დაიწყოს მოლაპარაკება სხვა ბურჟუაზიულ პარტიების ფრაქციებთან პრუსიაში ბურჟუაზიული მთავრობის შექმნის შესახებ. პრუსიის ლანდტაგის ცენტრის, დემოკრატიული პარტიის და ხალხთ პარტიის ფრაქციებმა უარი სთქვეს პრუსიის კოალიციონური მთავრობის გაშვებაზე.

— შტეგერვალდის ცდა საიმპერიო მთავრობის შექმნისათვის, ბურჟუაზიული ბლოკის ნიადაგზე, უშედეგოთ დამთავრდა. ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ მთავრობა შედგენილ იქნეს ცენტრის, სახალხო და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებისაგან შტეგერვალდის ან მარქსის თავმჯდომარეობით, თუ სოციალ-დემოკრატები კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას გამოიჩენენ ამ მთავრობის მიმართ. თუ ეს ცდაც უშედეგოთ დამთავრდა, მოსალოდნელია რეიხსტაგის გაშვება, ხოლო შტრეზემანის კაბინეტი მომავალშიაც გაუძღვება მთავრობის საქმეებს.

— ებერტმა მიანდო ცენტრის ლიდერს მარქსს კაბინეტის შედგენა. მარქსი ფიქრობს მთავრობის შედგენას ცენტრის, სახალხო პარტიის და დემოკრატების წარმომადგენლებისაგან, თუ ამ მთავრობისადმი სოციალ-დემოკრატები გამოიჩენენ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას.

— საიმპერიო ფინანსთა მინისტრმა ლიუტერმა მიმართა ებერტს წერილით, რომელშიაც სთხოვს გაანთავისუფლოს ის თანამდებობიდან, დაკავებულ ოლქებში შექმნილი მდგომარეობის გამო. ლიუტერის წერილი წარმოადგენს მთავრობის კრიზისის გადაჭრის დაჩქარების ცდას.

დოქტორ მარქსის კაბინეტი.

ლონდონი. 30 ნოემბ. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, კანცლერათ ინიშნება დოქტორი მარქსი. კაბინეტს ისეთივე ხასიათი ექნება, როგორც წინანდელს ჰქონდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასში რამოდენიმეთ გაძლიერებული იქნება მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლობა.

ახალი მთავრობა

დოქტორ მარქსის კაბინეტი.

ბერლინი, 30 ნოემბერი. ახალი კაბინეტი შეადგინა ცენტრის ლიდერმა მარქსმა; კაბინეტი თითქმის სრულიად არის შემდგარი. კანცლერი-დოქტორი მარქსი, გარეშე საქმეთა მინისტრი-შტრეზემანი, ფინანსთა მინისტრი-ლიუტერი. შტრეზემანის კაბინეტის მინისტრების უმრავლესობა რჩება თავის ადგილებზე.

მთავრობა „მუშაობს"

კომუნისტური დემონსტრაციების გამოძახილი

ბერლინი. 29 ნოემბ. გამართულ დემონსტრაციების გამო, 26 ნოემბ. დაპატიმრებული დეპუტატი პრუსიის ლანდტაგის როზა ვოლფშტეინი და 77 კომუნისტი გადაეცემიან საგანგებო სასამართლოს აჯანყების მოწყობის და უმაღლეს სამხედრო სარდლობის დადგენილებების დარღვევის ბრალდებით.

პრუსიის ლანდტაგში თავმჯდომარე ლეინერტმა, გამოაქვეყნა რა კომფრაქციის პროტესტი ლანდტაგის დეპუტატის როზა ვოლფშტეინის დაპატიმრების წინააღმდეგ, განაცხადა, რომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტების მიხედვით, ვოლფშტეინი დაპატიმრებულია აკრძალულ კომუნისტურ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის, რისთვისაც ეს დაპატიმრება არ უნდა ჩაითვალოს დეპუტატის ხელშეუხებლობის დარღვევათ.

კომუნისტი მეიერი მოითხოვდა ვოლფშტეინის განთავისუფლებას და აღნიშნავდა, რომ ის დააპატიმრეს არა დემონსტრანტებს შორის, არამედ გზაში.

შინაგან საქმეთა მინისტრი ზევერინგი საბრალმდებლო სიტყვაში კომუნისტების საწინააღმდეგოთ უარჰყოფს მეიერის განცხადებას.

ლანდტაგმა სოციალ-დემოკრატების ბურჟუაზიული პარტიების ხმების უმეტესობით უარჰყო კომუნისტების წინადადება.

დაპყრობილ ოლქებში

სეპარატისტული დიქტატურა.

ბერლინი. 30 ნოემბერი. „კელნიშე ფოლკს ცეიტუნგის" ცნობით, მატესის სეპარატისტული მთავრობა დამხობილ იქნა დიქტატორის ვინმე პექტორის მიერ. გავრცელდა ხმები, თითქოს მატესი გაიქცა დიუსელდორფში.

იტალიის პროტესტი.

რომი. 29 ნოემბერი. იტალიის მთავრობამ გაუგზავნა საფრანგეთს ნოტა, რომელშიაც მოითხოვს იტალიის უშუალო მონაწილეობას იმ ხელშეკრულებებში, რომლებსაც საფრანგეთის მთავრობა სდებს გერმანელ მრეწველებთან. საფრანგეთის მთავრობამ უპასუხა იტალიას, რომ მოთხოვნილებას ანტანტისათვის ნახშირის ამოღების გაძლიერების შესახებ მხედველობაში ჰქონდა იტალიის მონაწილეობაც ამ საქმეში.

„კორიერე დელა-სერა" იუწყება, რომ დიუსელდორფში დადებულ ხელშეკრულების თანახმად, **იტალია მონაწილეობას მიიღებს საერთო რეპარაციებში და, გარდა ამისა, მიიღებს ნახშირის მთელი წარმოების 5 პროცენტს.**

უმუშევრობა საოკუპაციო ოლქებში.

ბერლინი. 29 ნოემბერი. საოკუპაციო ოლქების პროფკავშირთა წარმომადგენლების საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დროს, უკანასკნელმა უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხის გამო აღუთქვა პროფკავშირებს მხოლოდ ის, რომ ისინი ხელს არ შეუშლიან მუშაობის განახლებას.

დიუსელდორფის შეთანხმების გამო.

ბერლინი. 29 ნოემბ. ოფიციალურ ცნობაში, გერმანელ მრეწველების და საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლების შორის მომხდარ შეთანხმების შესახებ, აღნიშნულია, რომ არ შეიძლება დიდი იმედების დამყარება პროდუქციის ზრდაზე, ვინაიდან ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული რკინის გზებზე მოძრაობის საკითხი. ცნობაში ხაზგასმულია, რომ რკინის გზებზე განახლდა მუშაობა რკინისგზელების მხოლოდ 35 პროც. მა.

პარიზი. 29 ნოემბერი. საფრანგეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს სარეპარაციო კომისიის სხდომას, სადაც განიხილება საფრანგეთის წინადადება გერმანიის გადახდის უნარიანობის გამორკვევის შესახებ და, აგრეთვე, რურის ექსპლოატაციისაგან მიღებულ შემოსავლის გამოყენების საკითხი დიუსელდორფის შეთანხმების მიხედვით.

მთავრობის „ზომები"

მარკის კურსი.

ბერლინი. 30 ნოემბერი. კურსი უცვლელია. **დოლარი ღირს—4,190 მილიარდი მარკა.**

ფასების ინდექსი.

ბერლინი. 30 ნოემბერი. პირველ მოთხოვნილების საგანთა ფასების ინდექსი 84,7 პროცენტით გაიზარდა.

გაფიცვა ქვემო-სილეზიაში.

ბერლინი. 30 ნოემბერი. ვალდენბურგიდან იუწყებიან, რომ გაფიცვა ქვემო-სილეზიაში დასრულდა 28 ნოემბერს.

საკონტრიბუციო საკითხის გარშემო

სარეპარაციო გადასახადები.

ლონდონი. 29 ნოემბერი. 27 ნოემბერს გაიმართა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა და სახელმწიფო ხაზინის ექსპერტთა თათბირი სარეპარაციო კომისიაში მყოფ ინგლისის დელეგატის ბრედბერის მონაწილეობით, რურის ოლქში გერმანელ მრეწველებსა და საოკუპაციო ხელისუფლების შორის დადებულ ხელშეკრულების გამო შექმნილ მდგომარეობის გამოსარკვევად.

„დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი მოიგონებს, რომ თებერვლის სესიის დროს სარეპარაციო კომისიამ ხმების დიდი უმრავლესობით აღიარა რურის ოკუპაციის უკანონობა. საფრანგეთის პრესა უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ინგლისის მთავრობას; პრესა აღნიშნავს, რომ თუ ინგლისს განზრახული აქვს სადაო საგნად გახადოს ოკუპაციის კანონიერება, მას არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს გერმანიიდან აღებულ გადასახადების ნაწილის მიღებაზე. ვინაიდან ეს გადასახადები დაწესებულია „უკანონო" დიუსელდორფის ხელშეკრულებით. თუ ინგლისს სურს მიიღოს თავისი ნაწილი ამ შეთანხმების თანახმად, მან უნდა აღიაროს ოკუპაციის კანონიერება.

ფიქრობენ, რომ ბრედბერი ინგლისის მთავრობის სახელით წინადადებას მისცემს სარეპარაციო კომისიას მიიღოს ინგლისის ხვედრი ყველა გადასახადები, სანამ საბოლოოდ არ გადაიჭრება საკითხი რურის ოკუპაციის კანონიერების შესახებ.

ინგლისის პრესა გართულია საარჩევნო კამპანიაში და თითქმის არ ეხება დიუსელდორფის შეთანხმებას. პარტიული ბელადები თავიანთ საარჩევნო სიტყვებში სრულიად არ ეხებიან საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

რეინის კომისიაში.

ბერლინი. 29 ნოემბერი. 15 კაცისაგან შემდგარ რეინის კომისიის და ოკუპაციით დაკავებულ ოლქების რეიხსტაგის დეპუტატების კონფერენციამ დაადგინა 15-ის კომისია გარდაიქმნეს აღმასრულებელ საბჭოთ 56 წევრის შემადგენლობით და უკანასკნელს დაეკისროს რეინის პარლამენტის ფუნქციები. საბჭოს წევრებს დანიშნავენ რეიხსტაგის და რეინის პროვინციის ლანდტაგის ფრაქციები. სოციალ-დემოკრატები სეპარატიზმის წინააღმდეგ პროტესტის სახით უარს აცხადებენ დირექტორიაში მონაწილეობის მიღებაზე. დირექტორიის შემადგენლობაში შედიან ცენტრის წარმომადგენლები—ადენგაუერი და კენიგი და სახალხო პარტიიდან მოლდენგაუერი.

კონფერენციაზე ადენგაუერმა მიაქცია გერმანიის მთავრობის ყურადღება იმ გარემოებას, რომ დროებით ფულის ნიშნების გამოშვების აკრძალვამ ოკუპაციით დაკავებულ ოლქების კომუნალურ დაწესებულებებს მოუსპო საშუალება შეიძინონ სურსათი მცხოვრებლებისათვის.

ცენტრის ფრაქციამ რეიხსტაგში შეიტანა შეკითხვა, გააუქმებს მთავრობა ამ აკრძალვას ოკუპაციით დაკავებულ ოლქებისათვის, თუ თვით უზრუნველჰყოფს ამ ოლქებს მტკიცე ვალიუტით და დასთანხმდება რეინის სავალიუტო ბანკის დაარსებაზე.

რესპუბლიკის გამოცხადება საბერძნეთში

ვენა. 29 ნოემბერი. სამხრეთ-სლავიიდან მიღებულ შეუმოწმებელ ცნობების თანახმათ **საბერძნეთში გამოცხადებულია რესპუბლიკა.** საბერძნეთის მეფე ემზადება ბუქარესტში გასამგზავრებლათ. ხმების მიხედვით, რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე პოლკოვნიკი პლასტირასი მოლაპარაკებას აწარმოებს ვენიზელოსთან იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელმა დაიჭიროს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ამხ. კრასინის განცხადება

მოსკოვი. 30 ნოემბერი. ამხ. კრასინმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ჩვენი სავაჭრო დამოკიდებულება იტალიასთან ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში შესამჩნევად გაცხოველდა. ჩვენ მივყიდეთ იტალიელებს პური, ნავთი და მთელი რიგი საბჭოთა ამიერ-კავკასიის საქონლებისა.

ვითარდება აგრეთვე ვაჭრობა ნორვეგიასთან. ნორვეგიის სავაჭრო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი პურისადმი. ნორვეგიაში პურის გაყიდვის პირველი ცდა მოხდენილ იყო მიმდინარე წლის სექტემბერში. ჩვენ, შეკვეთის თანახმად, ნორვეგიაში გავგზავნეთ 10.000 ტონა პური. პური საუცხოვო ღირსების აღმოჩნდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მივიღეთ მეორე, უფრო დიდი შეკვეთა 45.000 ტონაზე, რომელიც ჩვენ აგრეთვე წარმატებით შევასრულეთ.

საერთოდ, ჩვენი პურის საექსპორტო ოპერაციები წარმატებით ვითარდება. ევროპის ყველა ქვეყნებში დაარსებულია ფირმები, რომელნიც იღებენ საბჭოთა პურს და დიდის ქებით იხსენიებენ მის ღირსებას. ახლო აღმოსავლეთის. რომანთა ქვეყნების და დიდი-ბრიტანეთის ბაზრები მოითხოვენ განსაკუთრებით ხორბალს. სკანდინავიაში, ფინეთში, პრიბალტიკაში, ჰოლანდიაში და გერმანიაში იგზავნება ჩვენი ჭვავი, რომელიც თანდათან იკავებს ამერიკის ჭვავის ადგილს. ზოგიერთ ქვეყნებში ჭვავის მიწოდება სავსებით ჩვენს ხელში გადმოდის.

წარმატებით დამთავრდა აგრეთვე ჩვენი გამოსვლა ოსმალეთში და საბერძნეთში, სადაც უკანასკნელ საჯარო ვაჭრობაში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ზოგიერთ შემთხვევებში ჩვენს პურში 2—3 პროც მეტს აძლევენ, ვიდრე ამერიკის პურში.

ევროპის სავაჭრო წრეების დიდი ინტერესი გამოიწვია რუსეთ-ინგლისის შერეულ საზოგადოების დაარსებამ ლონდონში; საზოგადოების მიზანია პურით ვაჭრობა. ასეთივე მოლაპარაკება სწარმოებს სხვა ქვეყნებშიც. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში დადებული იქნება კიდევ რამდენიმე ანალოგიური ხელშეკრულება.

პოლონეთის ამბები

მახნოს გასამართლება.

ვარშავა. 29 ნოემბერი. მახნო, სასამართლოში მიცემულ ჩვენების დროს, უარყოფს ყოველივე კავშირს საკავშირო რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან და აღნიშნავს, რომ საბრალმდებლო ოქმი დამყარებულია პროვოკატორ კრასნოვოლსკის მიერ მიცემულ ყალბ ცნობებზე. მახნო აცხადებს, რომ მან წერილობით მიჰმართა პილსუდსკის და პოლონეთის მთავრობის სხვა წევრებსაც და წინადადებას აძლევდა მოხმარებოდა მათ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოწმემ—პოლიციის ობერ-კომისარმა პიონკევიჩმა დაადასტურა, რომ სრულუფლებიან წარმომადგენლობაშა კრასნოვოლსკი მიჩნეული ჰყავდათ, როგორც აგენტი პოლონეთის „ოხრანკისა“.

მდგომარეობა ოსმალეთში

რკინისგზელთა გაფიცვა.

ანგორა. 29 ნოემბერი. რადგანაც მუშები და ადრიანოპოლ-კონსტანტინეპოლის რკინისგზის ადმინისტრაცია შეთანხმდნენ, **რკინისგზელთა გაფიცვა დასრულდა. მუშების მოთხოვნილებანი ნაწილობრივ დააკმაყოფილეს.**

ანატოლიის რკინისგზის გამოსყიდვა.

ანგორა. 29 ნოემბერი. საბიუჯეტო კომისიამ დაადგინა, გამოისყიდოს ანატოლიის რკინისგზა.

პურის შეზიდვა

ანგორა. 29 ნოემბერი. პურის შეზიდვის შესახებ ორი მნიშვნელოვანი დადგენილებაა მიღებული: ნებადართულია თავისუფალი შეზიდვა რუსეთის ფქვილისა და ხორბლისა სტამბოლში და მოხსნილია ბაჟი სპარსეთიდან ოსმალეთში შეზიდულ ხორბალზე.

Колл[illegible] Как. Федор[illegible] Грузи[illegible]

სხვადასხვა

ინგლისი

ლლოიდ-ჯორჯის პროგრამა.

ლონდონი. 30 ნოემბერი. ლლოიდ-ჯორჯი თავის სიტყვაში, რომელიც მან დღეს წარმოსთქვა, დაწვრილებით შეჩერდა საკითხზე კაპიტალის დაბეგვრის შესახებ; ის უარყოფით ეპყრობა ამ საკითხს. ყოველ გვარი მთავრობის უპირველესი მოვალეობაა, განაცხადა ლლოიდ-ჯორჯმა, მშვიდობიანობის აღდგენა ევროპაში. არავის არ შეუძლია იმუშაოს ევროპაში ეხლანდელ პირობების დროს.

მუშათა პარტია საკავშირო რესპუბლიკას ემხრობა.

ლონდონი. 29 ნოემბერი. ინგლისის მემარჯვენე გაზეთები ათას სისულელეს სწერენ რუსეთის შესახებ, რათა ხელი შეუშალონ მუშათა მიდრეკილებას საკავშირო რესპუბლიკასთან ურთიერთობის განახლების სასარგებლოდ. კომერციული წრეები აღშფოთებულნი არიან ასეთი ღვარძლიანი კამპანიით, რომელიც აფერხებს ორივე ქვეყნის საქმიან დაახლოვებას.

იაპონია

კომპარტია იაპონიაში.

ტოკიო. 29 ნოემბერი. გაზეთები იტყობინებიან, რომ ახლო მომავალში იაპონიაში დაარსდება კომპარტია, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევენ კინია, მაკავა, არახატა და კიტატარა.

დანია

უმუშევრობა.

კოპენჰაგენი. 29 ნოემბერი. უკანასკნელ კვირებში დანიის უმუშევართა რიცხვი 2250 კაცით გაიზარდა. ამჟამად დანიაში 25000 უმუშევარია.

იტალია

აშკარა დიქტატურა.

ბერლინი. 30 ნოემბერი. იტალიის კაბინეტმა დაადგინა, პარლამენტს გამოსთხოვოს დასტური, რათა მუსოლინი დროებით აღიჭურვოს გაძლიერებული ძალა-უფლებით. ასეთი უფლებებით სარგებლობის ვადას თითონ მუსოლინი განსაზღვრავს.

პროფინტერნში

აღმასრულებელ ბიუროს სხდომა

აღმასრულებელ ბიუროს ორი უკანასკნელი სხდომა თითქმის სავსებით მოუნდა გერმანიის საკითხის განხილვას. დღის წესრიგში ცალკე იყო დასმული აგრეთვე საკითხი მექსიკის პროფესიონალური მოძრაობის შესახებ. ამ საკითხის შესახებ ამხანაგ ნინის მოხსენების შემდეგ, აღმასრულებელმა ბიურომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ საჭიროა წინააღმდეგობის გაწევა მექსიკის შრომის რეფორმისტულ კონფედერაციის ბელადების ცდებისათვის, რადგანაც უკანასკნელებს სურთ შექმნან სრულიად ამერიკის ფედერაცია, ჩრდილოეთ-ამერიკის იმპერიალიზმის დამცველი, რომელსაც ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს ჰომპერსი და რომელიც უნდა ემხრობოდეს ამსტერდამს.

შემდეგ აღმასრულებელმა ბიურომ მოისმინა სასოფლო-სამეურნეო მუშების საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის მდივნის ამხ. ჩირკოვის მოხსენება იმ პერსპექტივების შესახებ, რომლებიც დასმულია საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის წინაშე სასოფლო-სამეურნეო მუშების საერთაშორისო კონფერენციის შემდეგ. ამხ. ჩირკოვი შეჩერდა, უმთავრესად, გერმანიის სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის შიგნით არსებულ მიმართულებათა ბრძოლაზე. ამ პროლეტარიატის რიგებში 50 პროცენტზე მეტი ემხრობა კომუნისტურ პარტიას. შეიძლება იმაში დარწმუნება, რომ გერმანიის სასოფლო-სამეურნეო მუშები მხარს დაუჭერენ სამრეწველო პროლეტარიატს, როდესაც დაიწყება გადამწყვეტი ბრძოლა. სასოფლო-სამეურნეო მუშების რეფორმისტული კავშირი, როგორც ორგანიზაცია, თითქმის აღარ არსებობს.

ამ უკანასკნელ დროს შეიქმნა ახალი ორგანიზაცია წვრილი გლეხობის კავშირი, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები და რომელიც აერთიანებს დაახლოვებით 400 ათას კაცს.

ამხ. ჩირკოვის მოხსენების გამო აღმასრულებელმა ბიურომ აღიარა მიწა-ტყის კავშირის ფართე მასებში მუშაობის განსაკუთრებული მნიშვნელობა და დაადგინა დიდი ყურადღება მიექცეს გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო მუშების მოძრაობისათვის დახმარების გაწევას.

დეტალურათ იქნა განხილული საერთო საკითხი გერმანიის მდგომარეობის შესახებ. ორატორები ამ საკითხის გარშემო გამართული კამათის დროს აღნიშნავდენ, რომ სრულიათ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანება სავსებით გაიხრწნა, მან ფინანსიური კრიზისის გამო დაჰკარგა კავშირის ბიუროკრატების 80 პროცენტი და, რაც მთავარია, მან თავისი გამყიდველური პოლიტიკის წყალობით სავსებით დაჰკარგა ყოველივე ნდობა ფართე მუშათა მასების თვალში.

ეხლა ის ყოველივე ძალ-ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ აღადგინოს თავისი პრესტიჟი; მან დაიწყო ახალი კამპანია სატარიფო ხელშეკრულების გარშემო შემდეგი ლოზუნგით: „სამუშავო ხელფასის გამონგარიშება ოქროს კურსით“. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გერმანიაში აუარება უმუშევარია, რომელთათვის სრულიათ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებას არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ამას გარდა სრულიათ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების დათანხმება 8 საათის სამუშავო დღის გაუქმებაზე, მისი საქციელი გაფიცვების დროს, მისი პოლიტიკური ხაზი—ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც სამუდამოდ უსპობენ მას მის მიერ დაკარგული პრესტიჟის აღდგენის საშუალებას. ეხლა უკვე სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანება სრულ კონტაქტშია ფაშისტურ ორგანიზაციებთან და წარმოადგენს არა ნაკლებ საფრთხეს მუშათა კლასისათვის, ვინემ ფაშიზმი. რევოლიუციონურმა მუშებმა უნდა გაითვალისწინონ ეს მდგომარეობა და გამოიტანონ აქედან სათანადო დასკვნები.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ფრუნზეს და მანუილსკის მოხსენება.

კიევი. 30 ნოემბ. გუშინ ჩამოვიდენ ამხ. ფრუნზე და მანუილსკი, რომელთაც მოხსენება გააკეთეს საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ, მუშებისა და პარტიის ერთიან საქალაქო კრებაზე. მიღებულ რეზოლიუციაში იწონებენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას და პირობას სდებენ, რომ დახმარებას გაუწევენ გერმანიის პროლეტარიატს.

მონასტრის მაგიერ გლეხური კომუნა.

ოვრუჩი. 30 ნოემბ. საბჭოთა საოლქო ყრილობაზე დაადგინეს, დაიხუროს ადგილობრივი მონასტერი და მის მაგიერ იქ მოაწყოს გლეხური სამაგალითო სასოფსამეურნეო კომუნა.

ნავარაუდევის 90 პროც.

ბახმუტი. 30 ნოემბ. ნოემბრის სამი კვირის განმავლობაში დონის ქვანახშირის მაღაროებში ამოუღიათ 35.600.000 ფუთი ქვანახშირი—90 პროც. მთელი თვის ვარაუდისა.

საავადმყოფოს გახსნა.

ვიტებსკი. 30 ნოემბ. გაიხსნა საავადმყოფო, რომელიც საკუთრივ ვიტებსკის მაზრის გლეხობას მოემსახურება.

„შაიკის“ აღმოჩენა.

ხარკოვი. 30 ნოემბ. მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოებმა აღმოაჩინესს დიდი შაიკა, რომელსაც 100 თანამშრომელი ჰყოლია შრომის ბირჟიდან და კერძო პირებიდან. ეს შაიკა, თურმე, რიგს გარეშე ჰგზავნიდა სამუშაოზე და სათანადო ბარათებსას აძლევდა შრომის ბირჟიდან ვალიუტით მოვაჭრეებს და სპეკულიანტებს. ამ შაიკას რამდენიმე ასი კაცი დაუყენებია სამსახურში. დამნაშავეთა უდიდესი ნაწილი დააპატიმრეს.

მათ შორის ბევრია თეთრი არმიის ყოფილი აფიცერი.

სახელმწიფო გეგმათა სამმართველოში.

მოსკოვი. 30 ნოემ. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმის საჩქარო სხდომაზე ამხ. სტრუმილინმა მოხსენება გააკეთა ქალაქისა და სოფლის შესყიდვის უნარიანობის შესახებ. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ქალაქი ყიდულობს წელიწადში 895 მილ. ოქროს მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს და 668 მილ. მან. მრეწველობის ნაწარმოებებს, საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის 75 პროც. ხმარობს ქალაქი, დანარჩენი 25 პროც. მიდის სოფელში.

მელითონეთა ყრილობა

პეტროგრადი. 30 ნოემ. მელითონეთა საგუბერნიო ყრილობაზე მოსმენილ იქნა გემების საალმშენებლო, ელექტრო-მანქანების საალმშენებლო და მანქანების საალმშენებლო ტრესტების მოხსენებები. გემების საალმშენებლო ტრესტმა უკანასკნელი წლის განმავლობაში 50 პროც.-ით აღადგინა ქარხნების ქონება. ტრესტის შეკვეთების თანხა გაიზარდა 4—8 მილ. ოქროს მანეთით. ზედდართული ხარჯები თანდათან მცირდება. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ნაწარმოებების ფასები ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე ომამდის იყო; ეს აიხსნება ნედლი მასალის და ნახევარფაბრიკატების სიძვირით.

ელექტრო-მანქანების საალმშენებლო ტრესტმა ასწია პროდუქცია 4—9 ნახ. მილ. ოქროს მანეთით. მუშების რიცხვი ტრესტის წარმოებებში 2.800 გაიზარდა 6.500-დი. ტრესტმა საოპერაციო წელიწადი მოგებით დაამთავრა.

მანქანების საალმშენებლო ტრესტი აერთიანებს პეტროგრადის ლითონის მრეწველობის ყველაზე უფრო დიდ ქარხნებს; ტრესტს ყველაზე უფრო მეტი მუშები ყავს. უკანასკნელთა რიცხვი 4.000 გაიზარდა 11.700-დი, მოსამსახურეთა რიცხვი კი ორჯერ შემცირდა.

საკავშირო რესპუბლიკებში

(პრესის მიმოხილვა)

ამხ. ვოროვსკის მკვლელის—კონრადის პროცესის გამოძახილი

კონრადიმ მოჰკლა ამხ. ვოროვსკი. ეს, ყველამ იცის. მაგრამ არა მარტო ეს, როგორც სამართლიანად აღნიშნავს „უკრაინის კომუნისტი“.

„კონრადიმ მოჰკლა ბურჟუაზიული ლეგალობა, „დიპლომატიური ხელშეუხებლობა“. ბურჟუაზიული იდეოლოგების ლამაზი ფრაზები „ადამიანის სიცოცხლის სიწმინდის“ შესახებ. ავათმყოფმა ჩერჩეტმა თავის აქტით გამოააშკარავა მთელი პირმოთნეობა ლორდების მისტერების და რანტიეს, რომელნიც „წითელი ტერორის“ წინააღმდეგ ილაშქრებენ. კონრადის ზურგს უკან იდგა მთელი ბურჟუაზიული პრესა, რომელიც კიცხავდა ბოლშევიზმს ტერორისათვის, კათოლიკური პატერები და იეზუიტები ჯვარცმით ხელში. შვეიცარიის ყველა ვაჭრები, ყველის გამყიდველები, ყველა ჰუმანისტები და პაპისა და ლიუტერის მიმდევრები, დემოკრატი ქალი კუსკოვა, „სოციალისტი“ ჩერნოვი, დამფუძნებელი კრების მომხრე ვრანგელი და მთელი სულის მლაფავი საზოგადოებრივი წესწყობილება, რომლის არსებობის დაცვა ისტორიის სამსჯავროსაგან რევოლვერით მოინდომა ფსიხოპატმა კონრადიმ“.

აი ვის ჩასცა არაპირდაპირ ხანჯალი კონრადიმ. ერთხელ კიდევ გამოააშკარავდა ბურჟუაზიული ქვეყნის სიყალბე. ბურჟუაზიული პრესა ამის შესახებ არაფერს არ ამბობს.

მაგრამ უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელმა მასებმა აქედან თავისი დასკვნა გამოიტანეს. როგორც კი ცნობილი გახდა კონრადის გამართლება, 20.000 ბრბო გამოეფინა ხარკოვის ქუჩებზე. მრავალმილიონიან გლეხობის წარმომადგენელმა ამხ. ოდინეცმა განაცხადა: „მე ვფიქრობ, რომ ბურჟუაზიამ დაკარგა გონება. ის გამხეცდა და არ იცის რა ჰქნას. კაპიტალისტები ესვრიან ჩვენს ბელადებს ცალ-ცალკე, ჩვენ მათ შეუტევთ არა დაქსაქსულათ, არამედ ორგანიზაციული წესით.“

გლეხის სიტყვას მხარი დაუჭირა უპარტიო მუშამ ქარხანა „ნამგალი და ჩაქუჩი“-დან:

„ჩვენ მოვედით აქ,—განაცხადა მან,—რომ უთხრათ მუშათა და გლეხთა მთავრობას, რომ ხარკოვის მუშათა კლასმა უყურადღებოდ არ დასტოვა შვეიცარიის ბურჟუაზიის თავხედი მოქმედება. ხარკოვის მელითონეები მზათ არიან ყველ წუთში ღირსეული მუშტი უთავაზონ შვეიცარიის ბურჟუაზიას. კმარა პასიურობა! დროა დასავლეთის ამხანაგებმა ისწავლონ რუსეთის მუშისაგან, დროა დავილაპარაკოთ რუსულ ენაზე. ჩვენ მზათ ვართ დაგეხმაროთ!

და მიიღო რა ეს სტიქიური დახმარება მუშისა და გლეხებისაგან, უკრაინის კომპარტიის ცეკას ორგანო სამართლიანად აცხადებს:

„ჩვენ მზათა ვართ, ჩვენ გაერთიანებულნი ვართ. ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი მტრები ‚წამოვლენ ისინი თეთრი არწივის თუ პუანკარეს სამფეროვან ჩვარის დროშით“.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

განათლების მუშაკთა კონფერენცია.

სოხუმი. 29 ნოემბერი. სრულიად აფხაზეთის განათლების მუშაკთა მესამე კონფერენცია დანიშნულია 12 დეკემბრისათვის.

აზერბეიჯანი

შრომის დაცვის განყოფილებაში.

სოხუმი. 29 ნოემბ. შრომის დაცვის განყოფილებაში ამ უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში აღრიცხული იყო 231 დაწესებულება და წარმოება 1700 მუშა-მოსამსახურით. ამათგან 157 სავაჭრო დაწესებულებაა 1400 მოსამსახურით. თვალსაჩინოთ გაიზარდა დამზღვევი კასების მუშაობა. აღნიშნული დროის განმავლობაში აღრიცხულა 250 უმუშევარი. სექტემბრის განმავლობაში დახმარებად გაცემულა 10 მილიარდი მანეთი. კასის მომარაგებაზე ირიცხება 110 ინვალიდი, რომელთაც ენკენისთვეში მიეცათ 7 მილიარდი მანეთი. უზრუნველყოფილთა რიცხვი ყოველთვიურად იზრდება. კასას განყოფილებები აქვს გუდაუთში, გაგრაში, ოჩემჩირესა და გალში.

აფხაზეთის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს შემდეგი სამოქმედო გეგმა აქვს მომავლისათვის: მუშების გზავნა გემების დასატვირთად და გადმოსატვირთად, შრომის დაცვა, მეტყავეთა აღრიცხვა, შრომის პირობების გამოკვლევა წარმოებებში და სხ.

გაგრის სანაპიროების გამაგრება.

სოხუმი. 29 ნოემბერი. განახლდა გაგრის სანაპიროების გამაგრების მუშაობა, რომელიც შეჩერებული იყო შტატების შემცირების გამო. გადადებული თანხა შეაძლებინებს ამ საქმის დასრულებას.

აზერბეიჯანის საბჭოთა მესამე ყრილობა

მუშების დელეგაცია.

ბაქო. 28 ნოემბ. ყრილობის გუშინდელი მეცადინეობა გამოიხატა ყრილობის კომფრაქციის სხდომაში, რომელზედაც განხილული იყო მთავრობის მოხსენება.

საღამოს სხდომის დაწყებამდე, დარბაზი გაიჭედა დელეგატებით, სამრეწველოების და ფაბრიკა-ქარხნების მუშებით, წითელარმიელებით, სამხედრო მეზღვაურებით და ასკერებით, რომელთაც გაიგეს, რომ საღამოს სხდომაზე გამოდის ამხ. ბუდიონი.

რეზოლიუცია აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენების გამო.

სხდომა გაიხსნა შემდეგი რეზოლიუციის მიღებით: „მოისმინა რა ამხ. მუსაბეკოვის მოხსენება, აზერბეიჯანის მუშურ-გლეხურ მთავრობის მოღვაწეობის შესახებ, საბჭოთა 3-ე ყრილობა სავსებით იწონებს მის მოქმედებას და აღნიშნავს მის დიდ მიღწევებს ეროვნებათა შორის მშვიდობიანობის განმტკიცების, მუშებსა და გლეხებს შორის ძმური კავშირის დამყარებისა და ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრების აღორძინების დარგში“.

ყრილობის კომფრაქციის მიერ წარმოდგენილი ეს რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული. დელეგატებთან ერთად ამ რეზოლიუციას იწონებენ ყველა დამსწრენი არა ხელის აწევით, არამედ ერთსულოვანი ტაშის ცემით.

ამხ. ბუდიონის სიტყვა.

„სიტყვა ეკუთვნის ამხ. ბუდიონს“, აცხადებს თავმჯდომარე.

დარბაზი ფეხზე დგება და მქუხარე ტაშით და ოვაციებით ეგებება საყვარელ გმირს. მუსიკა ასრულებს „ინტერნაციონალს“. ბოლოს, ხანგრძლივი ოვაციების შემდეგ, ამხ. ბუდიონი იწყებს თავის სიტყვას.

„გესალმებით თქვენ, ახალგაზრდა თავისი ისტორიით, მაგრამ ძველი თავისი რევოლიუციონური მუშაობით წითელი ცხენოსანი ლაშქრის სახელით“. ეს სიტყვები იწვევენ ახალ ოვაციებს ცხენოსანი ლაშქრის, და საერთოდ მუშურ გლეხურ არმიის წინამძღოლის მიმართ. „იაშასუნ, ბუდიონი!“ ესალმებიან ამხ. ბუდიონს ყრილობის დელეგატი—მუსლიმანი ქალები; სჩანს მათაც მიყრუებულ სოფლებში გაიგონეს ბევრი რამ წარსული ბრძოლის გმირის შესახებ.

თავის მისასალმებელ სიტყვაში ამხ. ბუდიონი თვალს ავლებს წითელი ცხენოსანი ლაშქრის ისტორიას და აღნიშნავს მის ბრძოლას სამხედრო ფრონტებზე.

„თუ დასავლეთში ცხენოსან ჯარს სთვლიან დრომოჭმულ საბრძოლველ იარაღად, ჩვენში საქმე სულ სხვაგვარად არის. **იქ მშვენივრადაა განვითარებული რკინის გზების ქსელი, რომელიც საშუალებას იძლევა სწრაფად იქნას გადაყვანილი სამხედრო ნაწილები საჭირო ადგილებში. ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებს, რომლებსაც უკავიათ მთელი დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილი, არ შეუძლიათ დაიკვეხონ თავისი რკინის გზებით. აი, ამან, სამოქალაქო ომის პერიოდში, აიძულა მუშურ-გლეხური მთავრობა მიექცია სერიოზული ყურადღება წითელი ცხენოსანი ლაშქრის შედგენისათვის; წითელმა ცხენოსანმა ლაშქარმა უკვე ჩასწერა კონტრრევოლიუციასთან და ინტერვენციასთან ბრძოლის ისტორიაში დაუვიწყარი გმირული ფურცლები“.**

ეს სიტყვებიც იფარება მქუხარე ოვაციებით.

საპასუხო სიტყვას ყრილობის და საერთოდ აზერბეიჯანის მუშების და გლეხების სახელით ამბობს აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მუსაბეკოვი.

ყრილობის სახელით ამხ. მუსაბეკოვმა გადასცა წითელი ცხენოსანი ჯარის წინამძღოლს წითელი დროშის ორდენი—(ეს მესამე ორდენია, რომელიც ამხ. ბუდიონმა მიიღო) ხაზს უსვამს რა მუშების და გლეხების კავშირს წითელ არმიასთან, ამხ. ბუდიონი ეხვევა და ჰკოცნის ამხ. მუსაბეკოვს.

აძლევს რა ორდენს, ამხ. მუსაბეკოვი ამბობს: „აი, უკვე 2 წელიწადია, რაც აზერბეიჯანის პროლეტარიატი და გლეხობა ეწევა მშვიდობიან შრომას დაზგასთან და გუთანთან. მაგრამ თუ ბურჟუაზია გაბედავს ხელი შეახოს რევოლიუციის მონაპოვარს, აზერბეიჯანის შრომის შვილები მზად არიან გადასდონ ბარი და გუთანი და ხელახლა გავიდენ გაერთიანებული ფრონტით საერთო მტრის წინააღმდეგ“.

წითელი დროშა საქსონიის პროლეტარიატს.

ნუხის მაზრის გლეხების სახელით, ამხ. რუსტამბეილი აძლევს ამხ. ბუდიონს წითელ დროშას, **რომელიც დამზადებული იყო საქსონიის პროლეტარიატისათვის და სთხოვს გადასცეს იგი დანიშნულებისამებრ** და აღუთქვამს მას მთელი გლეხობის სახელით პირველ დაძახებისთანავე წავიდეს საბრძოლველად თუნდაც გერმანიის ტერიტორიაზე.

„ჩვენ ყველანი მზადა ვართ“, გაისმის დარბაზში, „გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!“

წითელი დროშის ქვეშ ამხ. ბუდიონი ფიცსა სდებს შესარულოს გლეხების და მუშების მიერ დაკისრებული მოვალეობა, პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების მიზნით და აღუთქვამს ყრილობას, რომ კომინტერნის საშუალებით ის გადაუგზავნის ამ დროშას გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს.

დელეგატების წინადადებით ამხ. ბუდიონი არჩეულ იქნა ყრილობის პრეზიდიუმის საპატიო წევრად.

შემდეგ ყრილობა ისმენს ამხ. ბუნიატ-ზადეს მოხსენებას (თათრულ ენაზე) აზერბეიჯანის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოხსენება.

ბაქო. 30 ნოემბერი. ყრილობის 29 ნოემბრის დილის სხდომაზე ამხ. ბუნიატ-ზადემ გააკეთა მოხსენება აზერბეიჯანის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ. შეეხო რა მიწათმოქმედების სახ კომისარიატის საორგანიზაციო ხასიათის მოღვაწეობას, მომხსენებელი გადავიდა აზერბეიჯანში რევოლიუციის პირველ წლებში მიწათმოწყობის დახასიათებაზე.“ მთლიანად გლეხობისათვის ბეგების და ხანების მიწების გადაცემა არ მოხერხდა მრავალ მიზეზების გამო, მიუხედავად გამოცემულ დეკრეტებისა. მიწათმოწყობის საქმის მოგვარება დაიწყო მხოლოდ მიმდინარე წელს, ამასთანავე პირველ რიგში მუშაობა დაიწყო ნუხის, ყაზახის, შამხორის, განჯის მაზრებში და ნახიჩევანის რაიონში. სპეციალისტების უყოლობის გამო, მუშაობა ნელის ტემპით მიმდინარეობს. მუშაობის დროს გვიხდება შეხლა-შემოხლა კულაკურ ელემენტებთან (განსაკუთრებით ქურთისტანში). კულაკები ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, რათა უკანვე დაიბრუნონ ჩამორთმეულ მიწების, თუნდაც მცირე ნაწილი“.

შემდეგ ამხ. ბუნიატ ზადე აღნიშნავს, რომ გასაბჭოების შემდეგ თითქმის ბეგების და ხანების მთელი მიწები, გარდა 150.000 დესეტინისა (რომელიც სახელმწიფო ფონდში გადავიდა) დაურიგდა გლეხობას.

დასასრულ მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მიმდინარე წელს შემჩნეულია ნათესების არეს თვალსაჩინოთ გადიდება და ამავე დროს გაძლიერებულია ბრძოლა სასოფლო მეურნეობის მავნეებთან.

გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული

კანტორა აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ პირველ ნოემბრიდან გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია ჩერვონცების ანგარიშით შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში შინ მიტანით	1 მ. 50 კ.
ქალაქს გარეთ მცხოვრებთათვის — —	1 მ. 60 კ.
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოთ მუშებისათვის	1 მ. 20 კ.

„ჩირაღდანი“

დეკემბრის ორიდან იწყებს გამოსვლას „კომუნისტი“-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი“, რომელიც **დაურიგდება ხელის მომწერლებს უფასოთ.**

ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:

თვიურათ ყველასათვის — —	30 კ.
ცალკე ეგზემპლიარი — — —	15 კ.

პარტიული ცხოვრება

საბჭოთა პარტიული სკოლები თუ პოლიტწრეები?

ასეთი სათაურით გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს 274 ნომერში მოთავსებულია ამხ. ჯაფარიძის სადისკუსიო წერილი.

ამ წერილში ავტორი აღნიშნავს, რომ ჩვენმა პარტიამ საბჭოთა დაწესებულების და პარტიულ მუშაკების მოსამზადებლად შემოიღო მაზრებში საბჭოთა—პარტიულ პირველი საფეხურის სკოლების ინსტიტუტი.

შემდეგ ამბობს, რომ ჩვენ არ გვყავს სათანადო კადრი მარქსისტულად მომზადებულ ლექტორებისა და მიდის იმ დასკვნამდე, რომ სკოლები უნდა დაიხუროს და მათ ნაცვლად დაარსდეს მაზრებში პოლიტიკური სკოლების ქსელი. მართალია თუ არა ამხ. ჯაფარიძე? საბჭოთა პარტიულ სკოლების ინსტიტუტი კი არ უნდა მოისპოს, როგორც ამბობს ამხ. ჯაფარიძე, არამედ მათი რიცხვი უნდა გაიზარდოს, თუ ჩვენ გვექნება ამისათვის რესურსები. რაც შეეხება მარქსისტულად მომზადებულ ლექტორებისკადრს, პირველი საფეხურის სკოლებისათვის, ასეთები მოიძებნებიან, ოღონდ საჭიროა მათი გადაჯგუფება ცენტრიდან მაზრებში ან და მაზრიდან მაზრაში. პარტიულ სკოლებში კურს დამთავრებული ამხანაგები დამაკმაყოფილებლათ მუშაობენ არა თუ თემის მასშტაბში, არამედ ხშირად რაიონებშიც.

ეს სკოლები აგრეთვე ამზადებენ ამხანაგებს ცენტრალურ პარტიულ სკოლაში და ამიერ-კავკასიის „26“ სახელობის უნივერსიტეტში შესასვლელად.

ასე რომ თავის დანიშნულებას სამაზრო პარტსკოლები ასრულებენ და ამის უარყოფა ამხ. ჯაფარიძის მიერ არის სიმართლის გვერდის ახვევა.

მაგალითი მრავალია მაზრებში. თემებში შეხვდებით საშუალო მომუშავე ამხანაგებს, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ეს სკოლები და აგრეთვე ცენტრალურ სკოლებშიც მრავალნი არიან. პარტსკოლების კურსანტები განთავისუფლებულნი არიან ყველა სხვა მოვალეობისაგან, აქვთ სკოლებში მაგარი დისციპლინა და მათი ყურადღება მხოლოდ მეცადინეობაზეა მიქცეული. ასე, რომ ყოველივე ის, რაც საჭიროა წესიერად მეცადინეობისათვის არის.

ამხ. ჯაფარიძე გვირჩევს შევქმნათ პოლიტიკური წრეები და გავაუქმოთ საბჭოთა პარტიული სკოლების ინსტიტუტი.

რას წარმოადგენს პოლიტიკური წრეები? უპირველესად აღსანიშნავია, რომ იქ მომუშავე ამხანაგები დატვირთული არიან სხვა სამუშაოებით და მეორე ის, მათი რიცხვი განსაზღვრულია. წრეებში არ არსებობს ის დისციპლინა, რაც საჭიროა ნორმალური ნორმალური მეცადინეობისათვის. დაღლილი ამხანაგები ვერ ითვისებენ ყოველივეს ისე კარგად, როგორც პარტსკოლებში. აგრეთვე მათში შეიძლება მეცადინეობა კვირაში მაქსიმუმი სამჯერ, რადგანაც ამხანაგები ვერ ასწრებენ მეტს.

როგორც სჩანს, პოლიტიკური წრეები ვერ შეასრულებენ იმ მოვალეობებს, რომლებიც აწევს პარტსკოლებს და წინადადება პარტიულ სკოლების ინსტიტუტის გაუქმების და პოლიტწრეების ქსელის შექმნის შესახებ ჩვენს სინამდვილეში მიუღებელია, რისთვის გონია ამხ. ჯაფარიძეს, როს თუ ჩვენ სკოლები არ გვექნება—შევამოკლებთ ხარჯებს? თუ ის ფიქრობს დააკისროს პოლიტიკურ
ებს ის მოვალეობანი, რომლ
აწევს პარტსკოლებს, მაშინ
მუნებთ მას, რომ უფრო მეტი
ჯებია საჭირო, რადგანაც პო
წრეების რიცხვი დიდი იქნება.

თუნც ბევრი ხარჯები სჭირდ
დეს სკოლებს, განა ამისთვის
უნდა დავხუროთ ისინი და წა
თვათ ამხანაგებს საშუალება მი
პოლიტიკური ცოდნა?

თუ დღეს სრულიად ვერ ამა
ლებენ ეს სკოლები თავის და
ნულებას, ამისთვის მათი გა
მება კი არ არის საჭირო, არა
გამონახვა და გამოსწორება ი
ზეზების, რომლებიც აფერხებს
შაობას.

დასკვნა ჩვენი ასეთია, რომ სა
რო პარტსკოლები კი არ უნდა
ხუროს, არამედ შეძლებისდაგვ
გადიდდეს მათი რიცხვი და
ჯობესდეს მათი მუშაობის პირო
ლექტორები უნდა გადაყვანილ
ერთი მაზრიდან მეორე მა
ან და ნაწილობრივ ს. კ. პ.
უნდა მისცეს მაზრებს პარტსკ
ბისთვის მომზადებული ლექტორ
პარტსკოლების არსებობა, სრულ
თაც არ ეწინააღმდეგება პო
წრეების არსებობას. ისინი იარს
ბენ და მოამზადებენ ამხანაგებ
მაზრო პარტსკოლებში შესასვლე
საჭიროა, რასაკვირველია, მათი
შაობის გაძლიერება და პოლ
წრეებისთვის სკოლების პარტ
მოვალეობის დაკისრება იქნებ
დიდი შეცდომა, რომელიც და
შეაფერხებდა პოლიტიკურ ცოდ
გავრცელების საქმეს და პა
აღმზრდელობითი მუშაობის წარ
ებას.

პ. მეგრელიშვ

ფოთის ქალთა განყოფილების მუშაობა ოქტომ

ქალაქი ფოთი გაყოფილია 6 რაიონად ამისდამიხედვით ხდება ქალთა კრებები, კრებები ეწყობა აგრეთვე პატარ-პატარა დაწესებულებებთან ერთად.

ოქტომბერში ჩატარებულ იქნა კამპანია ერთიან პარტიულ დღეს დელეგატ ქალთა არჩევნების მნიშვნელობის შესახებ. გამოითქვა სურვილი, რათა ამხანაგების ცოლები და დები ესწრებოდნენ კრებებს. შემდეგ ჩატარებულ იქნა დელეგატ ქალთა ხელახალი არჩევნები მთელ ფოთის რაიონში.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 115 ქალმა; არჩეული იქნა 30 დელეგატი.

შეერთებული იქნენ ტრანსპორტზე მომუშავე ქალები ქალთა განყოფილებასთან ერთად სამუშაოდ.

ახლად არჩეულ დელეგატებ
ბა მოხდა ოქტომბერში ერთხე
საანგარიშო თვეში კრებებ
9 ჯერ.

აგრეთვე არის დაარსებული ქა
განყ. ინიციატივით სამრეცხაო
კერვალო და სასოფლო-სამეურ
არტელი. სასოფლო-სამეურნეო
ტელში მუშაობდა 12 ქალი.

შემდეგი მუშაობის საწარმოებ
ქალთა მდგომარეობის გაუმჯო
ბის დარგში და უმთავრესად
რეშუმის გასავრცელებლათ გა
ხულია. თუთის ხეების გაშენება, მ
ნერგის შესაძენათ თანხა არ გა
არტელს.

სამრეცხაო და სამკერვალო
ტელში მომუშავე ქალები იმ
ბიან უკიდურეს მდგომარეობაშ
მუშაოს სიმცირის გამო.

ნ. ცაგარეიშვ

სენაკის მაზრა

პარტიულად სენაკის მაზრა დაყოფილია ცხრა რაიონად. თვით სენაკის რაიონს ხელმძღვანელობს სამაზრო კომიტეტი, დანარჩენ რვა რაიონში არის სარაიონო კომიტეტები. ორგანიზაციაში შედის 118 კომუჯრედი 909 წევრით.

ოქტომბრის განმავლობაში კომუჯრედებს ჰქონდათ 257 დახურული და 200 ღია სხდომები.

პარტიაში შემოსვლის მსურველთა რიცხვი დიდია; კანდიდატთა მიღება სწარმოებს დიდი სიფრთხილით. სრულიად საქართველოს პარტ-აღწერაში გატარდა 844 ამხანაგი, დანარჩენები იმყოფებოდნენ სხვა მაზრებში, ზოგი შვებულების და ზოგიც ავადმყოფობის მიზეზით.

გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლათ შედგა სამაზრო და სარაიონო კომიტეტები, მოეწყო შემოწირულება და ჩატარდა კამპანია ყველა თემებში.

პარტ-წევრებში პოლიტიკური ცოდნის ასამაღლებლათ დაარსებულია პოლიტ-წრეები, რიცხვით 48. ცოდნის მიხედვით ეს წრეები გაყოფილია ორ ჯგუფად, რომლებიც მეცადინეობენ ყოველკვირეულად. წრეებზე მიმაგრებულია მომზად
ამხანაგები.

ქალთა განყოფილების ინიცი
ვით მოეწყო სოფლად რვა
კრება, რომლებსაც დაესწრონ
უპარტიო ქალი, სადაც გა
სხვა და სხვა მოხსენებები პოლ
კური და სამეცნიერო ხასი
რაიონებში არიან არჩეული
შორის მომუშავე ორგანიზატო
ქალთა განყოფილება აქტიურ
წილეობის ღებულობს კამპანი
ჩატარებაში.

ახალგ. კომკავშირთან სამაზ
აქვს მჭიდრო კავშირი და
მას ხელმძღვანელობას. ეწყობა
პარტიის და კომკავშირის წ
გაერთიანებული კრებები და

ქ. ახ. სენაკის რკინის გზის
გურზე არსებობს ერთი სა
პორტო უჯრედი. უჯრედზე მი
ბულია ამხ. ს. მამულია. აქვე
სებულია პოლიტწრე, რომლ
ცადინეობაში მონაწილეობას
ლობენ მუშები.

სისტემატიურად კრებებზე
სწრებლობის გამო და გულგ
ისთვის პარტიიდან გამორი
იქმნა 15 ამხანაგი.

გ. კ—

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(30 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	185,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ·	179,500
ჩეკები —	179,500
დოლარები ეფექტ· —	41,500
ჩეკები	39.000
ოსმ. ქაღ. ლირა	23.000
იტალიური ლირა	1260
ფრანგული ფრანკი	1900
საბჭ. ფულის ნიშნები	18

მუშკოპის ფასები.

პური 1 ხარ.—800 ათ., პური 2 ხარ.—700, ძროხის ხორცი—2,200 ათ., ცხვრის ხორცი—2800 ათასი, ფხვნილი შაქარი—5425 ათასი,
რაფინადი—8950 ათ., ბრინჯ
—1,750, კარტოფილი—225,
რონი—2,750.

ტფილისის ბაზრის ფასებ

პური 1 ხარ. 800—950,
2 ხარ.—700, ძროხის ხორცი—
ცხვრის ხორცი—3 მილ.,
ხორცი—3 მილიონი, შაქარი
ფინადი—9000 ათასი., ფ
შაქარი—6 მილ., მაკარონი—
ბრინჯი აღდ.—1750 ათ., კარ
ფილი—300—350 მილ.

საქონლის ბაზრის განწყობ

საქონლის ბაზრის განწყობ
უცვლელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბირჟის გარეშე გარიგებანი

28 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 3 გარიგება, სულ 117 535 მან. ჩერვ. თანხის.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

დიდი მოთხოვნილების გამო, ჩერვონცების კურსის აწევა განაგრძობს.

კომუნალურ ბანკის გახსნა.

ა. | წ. 10 დეკემბერს იწყებს თავის ოპერაციებს ტფილისის კომუნალური ბანკი. ბანკის გამგეობის თავმჯდომარეთ დანიშნულია ა. გიგიეკორი.

ბირჟის მიწოდება.

ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხარ. რუს. „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია. ტყავის ღვედები. ლურსმნები. ფხვნილი შაქარი რუს. და „იავა"-სი. შაგიამანი. ცენტროსოიუზის ჩაი. ქიმიური ნაწარმოები. ფანჯრების მინა. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. სავაჭრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხ.). ცემენტი და ეტერნიტი. მზესუმზირას ზეთი, ქვა-მარილი ნახიჩევ. ყუბანის საკანდიტერო ფქვილი. ყურაგა. საგზა. ოზურგეთის ჩაი. მაკარონი და ვერმიშელი უკრაინის. რკინეულობა. მატყლი. შაქარი რაფინადი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ფხვნილი შაქარი რუს., რუს. მანუფაქტურა. რუს. შაქარი რაფინადი. ყუბანის ფქვილი. ტექნიკური ცხიმი. ასანთი. ლურსმნები. ჩაი. ტყავის ღვედები. თბილი ფეხსაცმელი (ვალენკი) და ხელთათმანები.

ოფიციალური გარიგებანი

შაქარი რაფინ. რუს. 1 ხარ.—16 მან. ჩერ. ფუთში. ფრანკო-გამყიდველის საწყობი. შაქარი რაფ. 1 ხარ. —16 მ. 50 კ. ფუთში. შაქარი ფხვნილი საზღვარ-გარეთის—11 მ. 25 კ. ფუთში, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ცენტრალური სავაჭრო სამმართველოში.

ც. სავაჭრო სამმართველოს აქვს ტფილისში 7 მაღაზია. ოქტომბრის თვის განმავლობაში ყველა მაღაზიებში შემოვიდა გასასყიდათ საქონელი—292 825 მანეთის, ხოლო გაყიდულია—108.936 მანეთისა. უმთავრესი ნაწილი ტრესტებიდან შემოსულია (74.9 პროც.), მერე საბაზრო საწყობებიდან (12,2 პროც.) შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებებიდან (10,7 პროც). რაც შეეხება გაყიდვას უპირატესად ს. მ. უ. ს. ტრესტების ნაწარმოებია გასაღებული, მათ შორის თამბაქოს ტრესტის ნაწარმოები მთელ შემოსავლის 70,9 პროცენტს შეადგენს.

მაღაზიების ოპერაციები ოქტომბრის განმავლობაში სექტემბრის ოპერაციებზე თუმცა ნაკლებია, მაგრამ იანვარ-სექტემბრის პერიოდის საშუალო ჯამს აღემატება.

მაღაზიების და საწყობების გარეშე ვაჭრობა.

ცენტ. სავაჭრო სამმართველო აწარმოებს ვაჭრობას აგრეთვე მაღაზიების და საწყობების გარეშეც. ეს მოქმედება გამოიხატება პროვინციალურ განყოფილებების მომარაგებაში, თამბაქოს და ღვინის ტრესტების ნაწარმოებთა რეალიზაციაში და სხვ. ოქტომბრის განმავლობაში მიღებულია თამბაქოს ტრესტიდან თამბაქო და პაპიროსი—სულ 131.260 მანეთისა, ღვინის ტრესტიდან—არაყი და კონიაკი, ნახიჩევანიდან ორი ვაგონი ქვა-მარილი, სათბობის განყოფილებიდან 150 ყუთი ბორჯომის წყალი და სხვ. სულ 147.204 მანეთის ღირებულებისა.

სავაჭრო ბრუნვა.

საწყობების სავაჭრო ბრუნვა ოქტომბრის განმავლობაში უდრის—137.605 მან., მაღაზიების—376.424 მან; მაღაზიების და საწყობების გარეშე ბრუნვა—298 950 მან., მაშასადამე მთელი ბრუნვა უდრის—802 979 მან.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(30 ნოემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	185.000,	60 კ.—	11.100.000
2 „—	370.000,	70 „—	12.950 000
3 „—	555.000,	80 „—	14.800.000
4 „—	740.000,	90 „—	16 650.000
5 „—	925.000,	1 მ.—	18.500.000
6 „—	1.110.000,	2 „—	37.000.000
7 „—	1.295.000,	3 „—	55 500.000
8 „—	1.480.000,	4 „—	74.000.000
9 „—	1.665 000,	5 „—	92.500.000
10 „—	1.850.000,	6 „—	111.000.000
20 „—	3.700.000,	7 „—	129.500.000
30 „—	5.550.000,	8 „—	148 000.000
40 „—	7.400.000,	9 „—	166.500.000
50 „—	9.250.000,	1 ჩერ.—	185 მილ

საქართველოს მეცხვარეთა ყრილობა

ქვემო-მაჩხაანში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ყრილობის მეორე დღე.

თავმჯდომარეობს ამხ. ლ. დუმბაძე „მწყემს"-ის საბჭოს სახელით მოხსენებას აკეთებს დ. ქადაგიძე. თებერვლის ყრილობაზე „მწყემსი"-ს გამგეობის მოქმედება შავად დაგიხატეთ—ამბობს მომხსენებელი. ბედნიერათ ვთვლი თავს, რომ ახალი გამგეობის მოქმედება დადებითად, თეთრად უნდა ვიცნოთ. პირვანდელი ორგანიზაცია „მწყემსი"-სა ვერ იყო საღ და სწორ ნიადაგზე დაყენებული, ის მოწყვეტილი იყო მეცხვარეებს. გამგეობაში მოკალათებული იყვენ უცხო ელემენტები, რომლებიც უფრო კერძო ინტერესებს ემსახურებოდენ, ვიდრე საზოგადოებრივს. იგივე პირები მოკალათებული იყვენ „წარმოკავშირში", რომელიც შემძენ-გამსაღებელ ორგანიზაციას წარმოადგენდა და და მეურნეობის განვითარებაზე თითქმის სრულებით არ ზრუნავდა. სამი წლის განმავლობაში ამხანაგობა „მწყემს"-ში არც რევიზია მომხდარა, არც ყრილობა არ იყო ზედამხედველობა, ნამდვილი კანტროლი, რაც საშუალებას აძლევდა ძველ გამგეობაში მოკალათებულ პირებს სპეკულიაცია ეწარმოებიათ „მწყემსი"-ს ქონებით. მომხსენებელს მრავალი ფაქტები მოყავს მათი ბოროტმოქმედებისა: ასახელებს ლაპიაშვილს, კობიაშვილს და სხვებს, რომლებსაც „მწყემსი"-ს ქონებიდან გამოქონდათ იმდენი, რამდენიც მოეპრიანებოდათ. მენშევიკების დროს გაზეთებში იყო აღნიშნული, რომ „მწყემსი"-ს გამგეობაში ყაჩაღებს და მძარცველებს აქვთ ადგილი, მაგრამ მაშინდელმა მთავრობამ არ მიაქცია ამას ყურადღება და არ აიძულა გამგეობა მოეწვია ყრილობა.

მხოლოდ საბჭოთა მთავრობის დროს, ამა წლის თებერვალში მოწვეული იქნა ყრილობა, საიდანაც იწყება „მწყემსი"-ს ახალ საფუძველზე დაყენება და მისი გამოჯანსაღება.

ახალმა გამგეობამ ბევრი რამეს გაკეთება შესძლო, თუმცა მის საქმიანობას დიდათ უშლიდენ ხელს ძველი გამგეობის მომხრე პირები, რომელთა ნაწილი სახელმწიფო დაწესებულებათა აგენტებათ მოგვევლინენ და გააჩაღეს სპეკულიაცია მატყლზე. სახელმწიფო დაწესებულებებმა ასეთი გათახსირებული პირები ახლოს არ უნდა გაიკარონ და პირდაპირ კოოპერატიულ ამხანაგობასთან უნდა დაიჭირონ კავშირი.

მომხსენებელი ეხება „წარმოკავშირთან" დამოკიდებულების საკითხს. კავშირი ამ ორ დაწესებულებათა შორის თავიდანვე მკვიდრი იყო, რადგანაც „მწყემსი"-ს გამგეობის წევრები იმავე დროს „წარმოკავშირი"-ს ბედსაც განაგებდენ. „მწყემსი"-ს ძველი ვალები „წარმოკავშირს" ბევრი აქვს, ის ყოველთვის იტოვებ და ჩვენი ამხანაგობის მოგების დიდ ნაწილს, რაც არა ბუნებრივად მიაჩნია მომხსენებელს. საბჭოს სახელით ის იძლევა წინადადებას „მწყემსი"-ს გამოსვლის შესახებ „წარმოკავშირი"-დან.

სარევიზიო კომისიის მოხსენება.

მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი კანდელაკი, რომელიც ამბობს, რომ კომისიამ თავიდანვე მოახდინა ძველი გამგეობის ანგარიშები ფაქტიური რევიზია, ანგარიშები მეტად აწეწილ-დაწეწილი აღმოჩნდენ, რასაც უცოდინარობით ვერ ავხსნით, არამედ სხვა რაიმე განზრახვით. ფაქტიური რევიზიის შემდეგ კომისიას გამოაკლდა ორი წევრი, რის გამო მომხსენებელი იძულებულია საზოგადოებას თავის პირადი დაკვირვება და შეხედულება გააცნოს. ის აცხადებს, რომ ეხლან ძველი გამგეობის ანგარიშები წესიერად სწარმოებს, ბუხგალტერია ძველი გამგეობის ანგარიშების მოწესრიგებასაც შეუდგა.

კამათი.

გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა გარშემო შემოდის მრავალი შეკითხვები; მათზე პასუხის გაცემის შემდეგ იხსნება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: ე. ლაგაზიძე, ა. ბაიდოშვილი, ქუმსიშვილი, ტობეჩიშვილი, გ. ელისაბედაშვილი, ს. წივწივაძე, ა. ერქომაიშვილი და სხვები.

ძველი გამგეობის დამცველი კრებაზე არავინ აღმოჩნდა, ყველა ერთხმად მოითხოვდა მათ პასუხისგებაში მიცემას. გამგეობის წევრი გ. ბერძნიშვილი აცხადებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოს პროკურორის წინაშე მრავალი საჩივრებია აღძრული; განზრახულია კიდევ მრავალის განსაჩივრება. ერთი საქმე კიდეც მოიგო გამგეობამ, და ამხანაგობას დარჩა ამ საჩივრის გასანაღდებლათ მოპასუხის სახლი.

ძველი გამგეობის და ნაწილობრივ ახალი გამგეობის კრიტიკით გამოდის ე. ლაგაზიძე, რომელიც აცხადებს, რომ „მწყემსი"-ს გამგეობა ვერ შეიჭრა თვით მწყემსებში და ბევრმა მწყემსმა არც კი იცოდა თუ რას წარმოადგენდა მისი კავშირი. არის მთები, სადაც მწყემსებს ცხვარი ვერ მიყავთ შიშის გამო. რატომ კავშირი არ ეხმარება მათ ამ მთების გამოყენებაში? საძოვრების საკითხი უნდა მოგვარდეს. წევრთა შორის კულტურულ მუშაობას და ლიტერატურის გავრცელებას სათანადო ყურადღება უნდა ქონდეს მიქცეული.

ბაწკალაშვილი მოითხოვს მწყემსების მიერ იარაღის ტარების საკითხის მოწესრიგებას. ქიტოშვილი მოითხოვს, რომ დაცულ იქნეს მწყემსის ინტერესები, საძოვრები და გზა.

გ. ელისაბედაშვილი. ახალი გამგეობა სცდილობდა მუშაობის გაჩაღებას, მაგრამ ძველი გამგეობიდან მიღებული მემკვიდრეობა, მეტად მძიმე მემკვიდრეობა, ხელს უშლიდა მის მუშაობას. გამგეობა ისტუმრებდა 1922 წ. ვალს. ძველი ყველა ბოროტმოქმედების ჩამოთვლა დიდ დროს წაგვართმევდა. სხვათაშორის მათ „ოკას" გამოსტყუეს 10.000 არშინი მატერია. განახლებულმა გამგეობამ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა. ძველ „წარმოკავშირში" წინედ ისეთივე ბოროტმომქმედნი ისხდნენ, როგორც „მწყემსი"-ს გამგეობაში, მაგრამ ამ უკანასკნელ თვეებში „წარმოკავშირი"-ს გამგეობაც განახლდა და ის შესძლებს „მწყემსი"-ს ვალების გასტუმრებას.

„წარმოკავშირ"-თან დამოკიდებულების საკითხმა დიდი გაცხოველებული კამათი გამოიწვია. „წარმოკავშირი"-ს ძველი გამგეობის მოქმედებით დაშინებული ყრილობის უმრავლესობა მოითხოვდა „მწყემსი"-ს გამოსვლას „წარმოკავშირი"-დან, რაც მიღებულ იქნა უმრავლესობის მიერ.

ტფილისის კომუნალური მეურნეობა

(იანვარ-სექტემბრის ანგარიში)

ქალაქის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებიან შემდეგი წარმოებები: 1) წყალსადენი, 2) ტრამვაი, 3) ფუნიკულიორი, 4) სასაკლაო, 5) მუნიციპალური აბანოები, 6) ელექტრონის სადგურები და 7) ქალაქის წისქვილი.

ყველა ზემოხსენებულ წარმოებათა მოსაქმეობის სურათი შემდეგია.

წყალსადენი.

საანგარიშო პერიოდში (იანვარ-სექტემბერში) გადმოქაჩულია ავჭალის წყალსადენიდან სულ დაახლოვებით 324 მილიონი ვედრო წყალი. ამ რიცხვიდან ქალაქზე დაიხარჯა 244 მილიონი ე. ი. მთელი გადმოქაჩული წყლის 73,3 პროც. იანვარში გადმოქაჩული იყო სულ 33 მილ. ვედრო აგვისტოში 41 მილიონი ვედრო, ხოლო სექტემბერში 39 მილ. ვედრო.

თუ წინა თვეების გადმოქაჩულ წყლის რაოდენობას შევადარებთ, უკანასკნელ სამი თვისას, შევამჩნევთ, რომ უკანასკნელ სამ თვეში საგძნობლად გადიდდა წყლის რაოდენობა; გადიდდა აგრეთვე წყლის აღრიცხვა აბსოლიუტურ ციფრებში. მაგრამ თუ წყლის აღრიცხვას შეუდგებით, ვამჩნევთ, რომ უკანასკნელ სამ თვეში (ივლის-სექტემბერი) აღრიცხვის პროცენტი საგრძნობლად დაეცა: საერთოდ წყლის დაკარგვა საანგარიშო პერიოდში (იანვარ-სექტემბრის) უდრის 26,7 პროცენტს.

წყლის ხარჯი აბონენტების მიერ.

კერძო პირების, სამხედრო დაწესებულებების, ქალაქის დაწესებულებების, სავაჭრო სამრეწველოების, საბჭოთა სახლების, მთავრობის დაწესებულებების და წყლის განმანაწილებელ ორგანოების მიერ საანგარიშო პერიოდში (იანვარ სექტემბერში) სულ დახარჯულია 175 მილიონი ვედრო. დახარჯულ წყლის ამ საერთო რაოდენობიდან კერძო პირებზე დაიხარჯა 79,635,880 ე. ი. 45,4 პროცენტი. კერძო პირებს მოსდევს სამხედრო დაწესებულება, რომელთაც დაუხარჯავთ საერთო რაოდენობის 21,3 პრ. მე-3-მე ადგილი უჭირავს ქალაქის დაწესებულებებს, რომელთაც მოუხმარიათ დახარჯული წყლის საერთო რაოდენობის 13,9 პროცენტი, ხოლო მთავრობის დაწესებულებათა მიერ დახარჯულია 7,3 პროცენტი. სულ ზემოხსენებულ 4 მთავარი აბონენტების მიერ დახარჯულია საერთო რაოდენობის 87,9 პროცენტი. დანარჩენ აბონენტებზე (სავაჭრო-სამრეწველოებზე, საბჭოთა სახლებზე, წყლის განმანაწილებელ ონკანებზე) მოდის საერთოდ დახარჯულ წყლის 16,1 პროცენტი.

ამას გარდა ყოველთვიურად თვით ავჭალის წყალსადენი ხარჯავს 4,5 მილიონს ვედროს, წყლის მიმწოდებელი ბუდკები 135 ათასს ვედროს, უფასო ონკანები, 2,4 მილიონს ვედროს, ხანძარისათვის 600 ათასი ვედრო—სულ დახარჯულა უკანასკნელად ჩამოთვლილ საჭიროებისათვის 7 მილიონი და 635 ათასი ვედრო.

წყლის ხარჯი რაიონების მიხედვით.

წყლის განაწილების მიხედვით ქალაქი იყოფა 10 რაიონად:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (იანვარ — სექტემბერი) ყველაზე მეტი წყალი დაუხარჯავს მეხუთე რაიონს, რომლის მიერ დახარჯული წყლის რაოდენობა უდრის 44,6 მილიონს, ე. ი. ყველა რაიონების მიერ ერთად დახარჯულ წყლის რაოდენობის 25,4 პროცენტს.

თითქმის ერთი და იგივე რაოდენობის წყალს იხარჯავს მეორე, მესამე და მერვე რაიონი; თვითეული მათგანი დაახლოვებით ხარჯავს 20,3 მილიონ ვედრო წყალს ე. ი. მთელ რაოდენობის 11,6 პროცენტს. მთლად ზემოჩამოთვლილი სამი რაიონი ერთად ხმარობს—34,8 პროცენტს; წყლის ხარჯის მხრივ შემდეგი ადგილი უკავია 10 რაიონს, რომელიც ხარჯავს 18,3 მილიონს ვედრო წყალს, ე. ი. საერთო რაოდენობის 10,5 პროცენტს; მეათე რაიონს მიჰყვება მეცხრე, რომლის მიერ დახარჯული წყლის რაოდენობა 16 8 მილიონს უდრის, ე. ი. დახარჯული წყლის მთელი რაოდენობის 9,6 პროცენტს, მეექვსე რაიონში იხარჯება 11,6 მილიონი ვედრო (საერთო რაოდენობის 6,6 პროცენტი); მეექვსე რაიონს მიჰყვება მეოთხე (8,98 მილიონი ვედრო. ე. ი. 51 პროცენტი) მეოთხეს—პირველი რაიონი, რომელიც ხარჯავს 7,8 მილიონს. ე. ი. საერთო რაოდენობის 4,5 პროცენტს. უკანასკნელი ადგილი უჭირავს მეშვიდე რაიონს, რომელსაც საანგარიშო პერიოდში დაუხარჯავს 6 მილიონი ვედრო ე. ი. 3,5 პროცენტი.

ზემოთმოყვანილი ცნობიდან სჩანს რომ ყველაზე მეტი წყალი იხარჯება მეხუთე რაიონში (25,4 პროც.) ასეთი დიდი წყლის ხარჯი აღნიშნულ რაიონში შედარებით დანარჩენ რაიონებთან აიხსნება იმით, რომ აღნიშნულ რაიონებში წყალსადენი აწვდის წყალს ქალაქის სასაკლაოს, სამხედრო საავადმყოფოებს, ჰაეროდრომს და რკინის გზის სადგურ ნავთლუღს.

წყალსადენის მიერ დახარჯული სათბობი და საზეთი მასალა.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში (იანვარი სექტემბერი) წყალსადენის საჭიროებისათვის დახარჯულა 386 ფუთ ნახევარი ნავთი, 184.125 ფუთი მაზუთი, შეშა 55,77 კუბიკური საჟენი და 8 ფუთი და 35 გირვანქა ხის ნახშირი. მანქანის ზეთი 916,4 ფუთი, ცილინდრის ზეთი 430 ფუთი, ბენზინი 39 ფუთი და 16 გირ., ვისკოზინის ზეთი 37 ფუთი და 30 გირვ. გარგლის ზეთი 35 ფ. და 29 გირვანქა.

ასეთი დიდი ხარჯი სათბობ და საზეთ მასალისა აიხსნება საწარმოო იარაღების დაცვეთით და აგრეთვე იმ გარემოებით, რომ საანგარიშო პერიოდის უკანასკნელ სამ თვეში ტურბინების გაჩერებას გამო, წყლის გადმოქაჩვა ხდებოდა საორთქლე ქვაბების საშუალებით, რაც სათბობი მასალის დიდ ხარჯს იწვევს.

წყალსადენის შემოსავალ გასავალი

წყალსადენს იანვარში შემოუტანია ოქროს კურსით სულ 10 296 მანეთი 92 კაპ., ხოლო გასავალი ჰქონია 9.816 მან 33 კაპ. აქედან შტატის შენახვაზე დახარჯულია 2 ათასი მანეთი. მარტში წყალსადენის შემოსავალი უდრის 41,497 მანეთს, ხოლო ხარჯი 41.434 მანეთს. აქედან შტატის შესანახად დახარჯულა 6.600 მანეთი. ივლისში შემოსულა 34 656 მანეთი, დახარჯულა 32,266 მანეთი, სექტემბრის შემოსავალი უდრის 33.688 მანეთს, ხოლო გასავალი 33143 მანეთს. სულ 9 თვის განმავლობაში წყალსადენს ჰქონია 243,352 მანეთი და 76 კ. შემოსავალი, ხოლო გასავალი 233,445 მ. 22 კაპ. გასავალიდან შტატზე დახარჯულია 47.445 მანეთი.

ამ რიგათ, როგორც აღნიშნულ ცნობებიდან სჩანს, წყალსადენი უდეფიციტო წარმოებაა.

მეცნიერება და ტექნიკა

მოხეტიალე ცეცხლების და მკვდართა სულების შესახებ

მოხეტიალე ცეცხლების არსებობა უკვე დიდი ხანია ცნობილია. ისინი ჩნდებიან ჭაობებში, ნესტიან სათიბებში, სასაფლაოებზე. მოსახლეობა, რომელსაც არ ესმოდა მათი წარმოშობის მიზეზი, უწოდებდა მათ მოუნათლავად გარდაცვალებულ ბავშვების სულებს, აწერდა მათ ჯადოსნურ ძალას და წინასწარმეტყველების იდუმალ თვისებას. ამ მოხეტიალე ცეცხლების გარშემო იქმნებოდა მრავალი ცრუმორწმუნეობა.

მეცნიერებამ, რომელიც არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა ცრუმორწმუნეობას, დიდ ხანს ვერ შესძლო ამ ცეცხლების წარმოშობის ახსნა. ცნობილი ასტრონომები ბესელ ლისტი და პროფ. კნორი იკვლევდენ ამ მოვლენას სხვადასხვა ადგილას და ცდილობდენ მისი ფიზიკური თვისების გაგებას. ისინი დარწმუნდნენ, რომ ცეცხლები ჩნდებიან ნესტიან ადგილებში, სადაც მოიპოებოდნენ გახრწნილი ნაშთები, რომელთაც ჰქონდათ მოცისფერით განათების თვისება; განათება ვრცელდებოდა მიწაზე, თითქოს მოძრაობდა რამდენიმე ხნის განმავლობაში; სითბოს ისინი არ იძლეოდენ; ისინი კი არ იწოდენ, არამედ ანათებდენ.

და მხოლოდ ამ ახლო წარსულში ბელგიელმა ქიმიკოსმა დიუმამ მოახდინა ქიმიური გამოკვლევა ამ საწაულებრივი განათების და რა აღმოჩნდა? მან შესძლო ღამით „მკვდართა სულების" გამოწვევა.

ეს მან მოახდინა შემდეგნაირად: ღამით ის სდგამდა წყალქვეშ დამალულ აპარატს გოგირდ-წყალბადით, რომელშიც აგდებდა ფოსფორ-მჟავა კალციუმს; ამ რიგად აპარატში ჩნდებოდა რთული ხსნილი. მხოლოდ ფოსფორის და წყალბადის შეერთება აღწევდა ჰაერამდე, ჩნდებოდა ტიპიური მოხეტიალე ცეცხლი მოცისფერო ალით, რომელსაც ახლდა უმნიშვნელო ღრუბელი.

გოგირდ-წყალბადის არც სუნი და არც ბოლი ჩნდებოდა.

დიუმას აზრით ბუნებაში მოხეტიალე ცეცხლი ჩნდება სავსებით ამგვარადვე და ამავე დროს მხოლოდ ისეთს ადგილებში, სადაც ლეში რჩება ჭაობიან ადგილზე, ამას გარდა ცეცხლის გაჩენა შესაძლებელია მხოლოდ იმ ორგანოებიდან, რომლებშიაც უხვად მოიპოება გოგირდი და ფოსფორი, მაგალითად, თავის და ხერხემლის ტვინისაგან.

გახრწნის დროს გაჩენილი გაზები მიილტვიან ზევით და ჰაერში აენთებიან; ამის გარშემო კი იქმნება სხვადასხვაგვარი ცრუმორწმუნეობა.

ქრონიკა

— **სოც. დაზღვევის მთავარ სამმართველოში.** სოციალურ დაზღვევის მთავარ სამმართველოში პროფკავშირის საბჭოს წარმომადგენელათ დაინიშნა ამხ. ელბაქიანი.

— **1923—24 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.** ა.—კავკასიის საფინანსო კომისარიატმა დაიწყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დაწესებულებათა 1923—24 წლების ხარჯთ-აღრიცხვების გამომუშავება.

— **კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად** პროფკავშირების საბჭომ დაადგინა ნება მიეცეს ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის საწევრო გადასახადიდან თავის კულტურულ ფონდის გასაძლიერებლათ 1923 წ. 1-ლ იანვრიდან 1-ლ ნოემბრამდე გადარიცხოს 5 პროც., ხოლო 1-ლ ნოემბრიდან 10 პროც.

კონტრ - რევოლიუციონერებთან ბრძოლაში დაღუპულების ოჯახების უზრუნველყოფა. საქ. სახ. კომისართა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა—კ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს მიეცეს ხუთი ათასი მან. ჩერვონცებით, კონტრ-რევოლიუციონერებთან ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგების ოჯახების უზრუნველსაყოფად.

— **სოციალურ დაზღვევის საქმე პროვინციებში.** პროვინციებში სოც. დაზღვევის საქმის გამოსარკვევათ და მისი სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად—ბათომსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, ტყიბულსა, ჭიათურასა, ოზურგეთსა, ზუგდიდსა და სენაკში მავლინებულნი იქნენ ამხ. გოგიბერიძე და ელბაქიანი.

— **კომუნალურ გადასახადისაგან განთავისუფლება.** პროფკავშირების საბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ქალ. აღმასკომის წინაშე, რათა ის პროფკავშირის წევრები, რომელნიც დაზღვეულნი არ არიან, მაგრამ აქვთ უფლება დაზღვევის, განთავისუფლებული იქნენ კომუნალურ გადასახადისაგან 50 პროცენტით.

— **არტელების დაზღვევა.** დამზღვევ კასამ დაადგინა დააზღვიოს ის არტელები, რომლებიც დაარსებულნი არიან შრ. სახ. კომისარიატის მიერ და ამავე დროს შემოიტანენ საპროცენტო ანარიცხებს 12 პროც. რაოდენობით.

— **ჩაი ამიერ კავკასიისათვის.** ა.-კ. საგარეო კომისარიატის წარმომადგენელმა ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის ინგლისში შეიძინა 1000 ფუთი ჩაი. 200 ფუთი უკვე ჩამოტანილია.

— **ახალგაზრდა უმუშევართა სექციაში.** შრომის ბირჟის კომიტეტის დადგენილებით ახალგაზრდა უმუშევართა სექციაში აღრიცხვა და გაწმენდა იწარმოებს მხოლოდ 10 დეკემბრამდის.

— **უმუშევართა საერთო აღრიცხვა** 27 ნოემბერს, შრომის ბირჟაზე აღრიცხული იქნა 321 უმუშევარი. ამათგან აღრიცხვაზე დარჩა 313 კაცი, გამოირიცხა 8.

პროფ კახიანის ლექციები. კვირიდან (2 დეკემბ.) პროფ. ნ. კახიანი დაიწყებს განმეორებითი ლექციების კითხვას ექიმთათვის ტოპოგრაფიულ ანატომიასა და ოპერატიულ ქირურგიაში ზოგადი და კერძო ქირურგიის დამატებით. ლექციები წაიკითხება ყოველ კვირას 12—3 საათამდე. ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის ინსტიტუტში (ყოფილი საფერშლო სკოლა. კამოს ქუჩა № 51 ეზოში).

— **გამომცემლობა.** რედაქციამ მიიღო შალვა დადიანის პიესები, წიგნი პირველი. წიგნი სუფთადაა გამოცემული სახგამის მიერ.

— გამოვიდა კარლ მარქსის „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში" ფრიდრიხ ენგელსის წინასიტყვაობით. წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და სუფთადაა გამოცემული.

— **შრომის დარგის ცენტრ. სტატისტიკური ბიურო.** შრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა დაარსებული იქნას შრომის დარგის ცენტრალური სტატისტიკური ბიურო. აღნიშნული ბიუროს მიზანია დაამუშაოს შრომის დარგში ყოველგვარი მასალები და ცნობები.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 29 ნოემბერს აღრიცხვა არ ყოფილა. ახლად ჩაეწერა 15 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა—85, მოთხოვნილება იყო—48.

შემთხვევები.

—მგზავრის გაძარცვა. 28 ნოემბერს, ბზის მოედანზე გაძარცვეს მოქ. ბახში ალი-ოღლი, რომელსაც წაართვეს რამდენიმე მილიარდი ფულად და ნივთები. ეჭვით დააპატიმრეს გიორგი საკიანი.

—შეპყრობა. 27 ნოემბერს შეიპყრეს გიორგი პესარენკო სხვადასხვა ქურდობისათვის.

—გაძარცვა. 24 ნოემბერს, შუაღამისას „თეთრი დუქნის" შარა გზაზე შეიარაღებულმა ბოროტ-მოქმედებმა გაძარცვეს სოფლიდან მომავალი მგზავრები. მიღებული ზომებით შეპყრობილ იქნენ ნაძარცვი ნივთებით—ერვანდ ავაქოვი და არშაკ მიკირტუმიანცი.

—ბოროტ-მომქმედთა შეპყრობა. 28 ნოემბერს შეპყრობილ იქნენ აშო შავეშოვი და ბენო ალი-ოღლი სხვადასხვა ქურდობისათვის.

ომში დაჭრილთა შრომის არტელ „ახალ წრე"-ში

თითქმის ხუთი წელიწადია, რაც არსებობს საქართველოს ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირი. ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა ობიექტიურ პირობებისა გამო კავშირს არ უწარმოებია ჯეროვანი კულტურული მუშაობა. დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, ხსენებული კავშირი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატმა. მაგრამ რესპუბლიკის ფინანსიურმა მდგომარეობამ საშუალება არ მისცა საბჭოთა ხელისუფლებას, მიუხედავად მისი ამ კავშირისადმი დიდი თანაგრძნობისა, სავსებით დაეკმაყოფილებია ინვალიდთა არმია; ამიტომ უზრუნველყოფის კომისარიატის ხელმძღვანელობით და მფარველობით დაარსდა ინვალიდთა შრომის ცალკე არტელები. ამ არტელების მიზანს უპირველეს ყოვლისა შეადგენდა თავიანთი წევრების ფიზიკური არსებობის შენარჩუნება და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამავე მიზანს ემსახურება ომში დაჭრილთა ერთ-ერთი შრომის არტელი—„ახალი წრე".

მაგრამ, რამდენადაც ეს არტელი მოღონიერდა ნივთიერად, მან მიზნად დაისახა კულტურულ სფეროში გადასვლა, თავის წევრთა შორის კულტურული მუშაობის წარმოება. ამ მიზნის განსახორციელებლად ომში დაჭრილთა შრომის არტელი „ახალი წრე" არტელთან აარსებს კულტურულ სექციას სახელწოდებით „კულტურა", რომელმაც თავის მხრივ უკვე გადადგა ზოგიერთი ნაბიჯები: 1) აწარმოვა მოლაპარაკება სახელმწიფო გამომცემლობის გამგესთან, მოქ. პ. ზუმბაძესთან სახელგამის მიერ გამოცემულ წიგნების დათმობის შესახებ, მათი არტელის წევრთა შორის გასავრცელებლად; 2) თავის საზრუნავ საგნათ გაიხადა იოსებ იმედაშვილის წინად გამომავალ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს განახლება, რისთვის იმავე ზუმბაძემ, შუამდგომლობის თანახმად, დაუთმო არტელს საჭირო მასალა.

„ახალი წრე" იმედოვნებს, რომ ფართე საზოგადოება და ამასთანავე სათანადო სახელმწიფო ორგანოები მხურვალე თანაგრძნობით შეხვდებიან არტელის მიერ დაწყებულ საკულტურო მუშაობას, რაც არტელს საშუალებას მისცემს მის მიერ დაწყებულ საქმის ნაყოფიერად წარმართვისათვის.

ომში დაჭრილთა შრომის არტელის „ახალი წრის" გამგეობა.

მუშათა ცხოვრება

საღამო-წარმოდგენა გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ

ა. წ. 19 ნოემბერს სახალხო სახლში გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ სახალხო სახლის ადგილკომის თაოსნობით გაიმართა საღამო წარმოდგენა, რომლის მთელი შემოსავალი გადაიდო მებრძოლ გერმანიის პროლეტარიატისათვის.

საღამოში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს რუსულ-ქართულ დრამამ და მოცეკვავე ალექსიძის მოწაფეებმა.

რუსულად წარმოდგენილი იყო 2 მოქ. პიესა „ერთხელ საღამოთი", ქართულად ერთი მოქმედება პიესა „გუშინდელნი" დან.

პირველი პიესა დაიდგა რადოლინის ხელმძღვანელობით, მეორე ი. ბარველის რეჟისორობით. ორივე პიესები კარგად ჩატარდა; მსახიობები განსაკუთრებით თამაშობდნენ, ყველა თავ-თავის ალაგას იყო. კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს ალექსიძის მოწაფეებმა თვისი მოხდენილი ცეკვით.

შემდეგ ამისა გათამაშებულ იქნა ბატკანი ლატარიის სახით.

საღამოს დაესწრენ განსაკუთრებით მუშები თავის ოჯახებით; მადლობის ღირსია სახალხო სახლის ადგილკომი, რომელმაც მოაწყო ასეთი სიმპატიური მიზნით საღამო.

დაე! სახალხო სახლის მუშების წვლილს გამოეხმაურონ სხვა კულტურული ორგანიზაციები და ადგილკომებიც, რათა ხელი შეუწყონ გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

დაე! იცოდეს გერმანიის პროლეტარიატმა, რომ მათ ჩვენი მუშები ზურგს უმაგრებენ და ისინი მთელი თავისი არსებით მათთან არიან საერთო საქმის გამარჯვებისათვის. გაუმარჯოს გერმანიის მუშებს!

მუშკორი მელიტონი.

კომუნალურ წყალსადენის ბუხჰალტერია

(მოქ. „სტრელას" შენიშვნის გამო გაზ. რაბოჩაია პრავდა № 216).

კომუნალურ წყალსადენის ბუხჰალტერია ძლიერ ჩამორჩენილი იყო. ახალ ბუხჰალტერის ამხ. ბახტაძის დანიშვნის შემდეგ მუშაობამ და საქმის გამოსწორებამ საგრძნობლათ წინ წაიწია. მხოლოდ საქმეს ხელი შეუშალა ა. კ. ბონებიდან ჩერვონცებზე ანგარიშ-წარმოების გადაყვანამ, მაგრამ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პირველ იანვრისთვის საქმე საბოლოოდ გამოსწორდება. და ეს შესაძლებელია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ წყალსადენის ადმინისტრაცია და ადგილკომი დაეხმარებიან ამხ. ბახტაძეს მისი თანამშრომლების ნივთიერად უზრუნველყოფაში, ვინაიდან ისინი მცირე ჯამაგირებისა გამო, განიცდიან კრიზისს და ნახევრათ მშიერნი ვერ შესძლებენ ინტენსიურ მუშაობას. როგორც ბუხჰალტერს, ისე მის თანაშემწეებს, უხდებათ ყოველდღიურად 8—10 საათის მუშაობა.

ბუხჰალტერიის თანამშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ადგილკომის მიერ მოწვეულ იქნა კომისია, რომელშიდაც შედიოდენ ამხ. ბრაუნი, შრომის ინსპექტორი ამხ. გ დოლიძე, ადმასკ. მთ. ბუხჰ. ძიძიგური, წყალსადენის დირექტორი და ადგილკომი. მათ გამოიტანეს დადგენილება, რომ საქმის საბოლოოდ მოსაგვარებლად და ნორმალურ ანგარიშის საწარმოებლად მიეცეთ წყალსადენის ბუხჰალტერიის თანამშრომლებს პროცენტული დატვირთვა, რომლის მალე გატარება ცხოვრებაში—იმედია.

მოქ „სტრელას" კი მოგეხსენებათ, რომ არ შეიძლება იმ კილოთი წერა, როგორც ის სწერს, ყველა ამხანაგების ერთი საზომით შეფასება ყოვლად მიუღებელია. მოქ. „სტრელა"! თუ თქვენ გყავთ მხედველობაში რომელიმე ამხანაგი, რომელიც არ ასრულებს მოვალეობას, შეგეძლოთ პირადათ ან ადგილკომის დახმარებით გაგეფრთხილებიათ იგი, და ყველა ამხანაგები პატიოსანი მუშაკნი არ გაგელანძღათ. მაგნაირ მოქმედებით სასურველ მიზანს ვერ მიაღწევთ. შეიძლება მაგ. თქვენ შენიშვნას „ახნიც მუშაობენ" არა სასურველი შედეგი მოჰყვეს, რაც საქმეს ავნებს, გირჩევთ მეგობრულად ამხანაგების უთავბოლო ლანძღვა-გინებას თავი დაანებოთ და საქმეს ხელი მოჰკიდოთ.

მუშკორი გ—ანიძე.

სახლი უპატრონოდ იღუპება

(ადმასკომის საყურადღებოთ)

თხინვალის შესახვევში არის სახლი ალაბეგოვისა № 8, რომელიც აქამდე მოიჯარადრე ვარძიგულოვის ხელში იმყოფება. ეს სახლი ინგრევა უპატრონოთ. როდესაც ჭერის ორი ფიცარი იყო ჩამოტეხილი, მაშინ იმის შეკეთება სულ ადვილი იყო. მაგრამ მოიჯარადრემ ამის კაკეუბა არ მოისურვა იმისთვის, რომ ეს შეკეთებული ოთახი ვინმე კავშირის წევრის, მუშის ან მოსამსახურის სარგებლობაში არ გადასულიყო დაკანონებულ საბინაო ქირაში. ვარძიგულოვი ეძებდა კერძო პირებს, რომ ჩერვონცებით გაექირავებინა ეს ბინა და მით კი გაესუქებინა თავისი უძირო ჯიბე. „ხეირიანი" მდგური მან ვერ იშოვნა და ამის მოლოდინში კი ეს ჭერი მთლიანად ჩამოინგრა. წვიმის დროს იატაკზე წყლის გუბები დგება, ფიცრები მთლიანად ლპება. ადვილი შესაძლებელია, ერთს უბედურ დღეს ის უეცრივ მოზვავდეს და ქვეითა სართულის მცხოვრებნი მსხვერპლი შეიქნენ ამ უბედურებისა. სახლს არ უვარგა ფეხისადგილები, რომლებიც ზოგი თვითონ მოიჯარადრემ დაკეტა, ზოგის, მაგ. ეზოში კედლები სულ დამპალია და ლამის არის ჩამოინგრეს დღეს თუ ხვალ.

საჭიროა არ დაიღუპოს ეს სახლი; ჩამოერთვას ის დაუყოვნებლივ ამ ბოროტ მოიჯარადრეს და გადაეცეს საბინაო კოოპერატივ; შეიძლება იმან მაინც რაიმე პატრონობა გაუწიოს ამ სახლს და მუშათა საცხოვრებელ სახლად გადააქციოს იგი.

მუშკორი გ. ში—ლი.

მუშათა წერილებიდან

„ჩინურ კედლებში" მომწყვდეული მუშაკი.

(რკინის გზის პოლიტსეკრეტარიატის, კომიაჩეიკის და პროფკავშირის საყურადღებოთ).

ძალიან პატიოსანი, სამართლიანი და კეთილგონიერი მუშაკია ამიერ-კავკ. რკინის გზის სამმართველოს უფროსი ამხ. პოზდეევი. ის თვითონ მუშაა, მუშის წრიდან გამოსული და რა გასაკვირია, რომ მას მუშები სწამდეს და უყვარდეს კიდეც. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნულ ამხანაგს გარს შემოხვევიან შავრაზმელ-ბიუროკრატები—სხვადასხვა სამსახურის გაორკეცებულ და გაოთკეცებულ „სპეცტაკიან" უფროსების სახით.

ეს ბიუროკრატები ამხ. პოზდეევის გარშემო ჰქმნიან საშინელ ნიკოლოზის დროის დამპალ ატმოსფერას და ნამდვილ „ჩინურ კედლებს", სადაც ფაქტიურად მომწყვდეულია ჩვენი საყვარელი საუკეთესო მუშა-ამხანაგი, რომელიც ყოველივე ამის გამო ყოვლად მიუწვდომელი და უხილავი რჩება რკინისგზელ მუშის და დაბალ მოსამსახურისთვის. ამხ. პოზდეევი დაიმკვიდრეს ამ ძველ „ჩინურ კედლებში"; მისი კარები მუშებისთვის ჯერ-ჯერობით დაკეტილია.

დროა ყოველივე ამას მოეღოს ბოლო. დროა დაინგრეს ეს „ჩინური" საზიზღარი კედელი ბიუროკრატებისა და განდევნილი იქნან საბჭოთა რკინისგზიდან საეჭვო და დაუნდობელი „სპეცები" (?) ამხ. პოზდეევი ჩვენია და არა მათი— და გვრწამს, რომ ის კვლავ ჩვენთან იქნება.

ძველი რკინისგზელი მუშა იხ—ძე

შეგვაწუხეს და გვაწამეს ავტომობილებმა

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოთ).

საცხოვრებელ სახლების ეზოებში არ უნდა იყონ მოთავსებული ავტომობილები.

აღნიშნული ეზოების ავტოგარაჟად გადაქცევა ყოვლად დაუშვებელია, როგორც სანიტარია-ჰიგიენის მხრივ, ისე იმის გამო, რომ ავტომობილები ხშირად ხანძრების მიზეზებიც ხდებიან. მათ ყოველთვის შიში, მოუსვენრობა, აღშფოთება და ყოველგვარი უსიამოვნება შეაქვთ მოსახლეობათა ყოფა-ცხოვრებაში.

შოფერები ავტომობილების გასარეცხად ხმარობენ ყოველ დღე რამოდენიმე ათეულ ვედრო წყალს, ფულს კი არ იხდიან. ამას მოსდევს წყლის დაკეტვა მთელი სახლის მდგურებისთვის, მიუხედავათ იმისა, გადახდილი აქვთ ამ უკანასკნელთ წყლის ფული, თუ არა. ამის გამო იტანჯება სულ უბრალოდ უდანაშაულო პატიოსანი მუშა-მოსამსახურე და ღარიბი მოქალაქე.

დროა ქ. აღმასკომმა გაიყვანოს ეს ავტომობილები საცხოვრებელ სახლების ეზოებიდან მაინც, თუ მას მართლაც საშვალება ვერ შესწევს მადათოვის კუნძულზე მიუჩინოს მათ ცალკე ავტო-გარაჟი.

მუშკორი—ეკალი.

მუშათა კლუბის ობობა

(პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოთ)

ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში, მეორე სართულზე, კოხტად მოკალათებულა ერთი ობობა—„ბუფეჩიკი", რომელიც საშინლად ტყავს აძრობს ჩვენს მუშებს. ატყუებს მათ პატარა პორციებით, ფულს კი დაუზოგველად ახდევინებს. მისი პორციები მხოლოდ 2—3 მისხალს იწონის, ფასობს კი 2—3 მილიონამდე. უბრალო ძეხვის და პურის ნაჭერი—აი მთელი პორცია. საჭიროა ეს სპეკულიანტი ჭკუაზე მოვიყვანოთ.

კომკავშირის წევრი—ი. ჯ.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„მეფის საცოლე".

„მეფის საცოლის" დადგმა მოქ. რაპოპორტის მიერ მოფიქრებულია; ის ზოგიერთ ადგილებში საინტერესოც არის. პირველ რიგში რეჟისორს გამოჰყავს არა რეალური ეპიზოდები, არამედ სიმბოლოები; კარგია პირველი სურათი; ლამაზად არის გადმოცემული ბნელი ღამე და მთვარის შუქი ფანჯრებში, მაგრამ ყველაფერი ეს არ შეეფერება მოქმედების შინაარს; ლამაზია ცეკვა და „ოპრიჩნიკების" მთელი სცენა.

კარგია მეორე სურათიც: „ალექსანდრეს სოფელი"—იოანე მრისხანეს დროებითი რეზიდენცია. მესამე სურათი სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. შეუფერებელია აგრეთვე უკანასკნელი სურათი რაღაც ზღაპრული ფიგურებით კედლებზე.

მართას შეხვედრა მეფესთან ეპიზოდიურია, და ამიტომ აქ შეუფერებელია სცლებავების ასეთი დამძიმება—იოანე აქ ცოცხალი პიროვნებაა, და არა სიმბოლო.

შემსრულებელთაგან პირველობა, ეკუთვნის მარკოვას, რომელმაც მართას პოეტური სახე მოგვცა. მომღერალს მშვენიერი ხმა აქვს; მისი ხმა მომხიბლავი და ტკბილია. ის მშვენივრათ ხმარობს ხმას. საუკეთესო სცენაა მეორე მოქმედებაში.

რებონე ლიუბაშას როლში მეტათ მოფიქრებულათ ასრულებს თავის პარტიას. პირველი სცენა-ლიუბაშას სიმღერა შესრულებული იყო ნიუანსებით და განწყობილებით. მსუბუქი დეტონაცია-შემთხვევითი მოვლენაა. მსახიობი მშვენივრათ უსვამს ხაზს სცენის დრამატიულ მხარეს—თავის სასოწარკვეთილებას და მარტოობას. აქ იყო განწყობილების მთელი გამმა.

ელიოზიშვილმა, რომელმაც ექსპრომტათ შესცვალა ავათ გახდარი დევლეთი, კარგათ ჩაატარა თავისი პარტია.

მართალია, მსახიობი ვერ იყო მტკიცე პირველი არიის შესრულების დროს, მაგრამ მოქმედების შემდეგ განვითარებაში მომღერალმა სავსებით დაიპყრო თავისი როლი. უკანასკნელ მოქმედებაში კი მან გვაჩვენა თავისი დრამატიული ნიჭი, როგორც თამაშში, ისე სიმღერაშიც. კარგია მისი გრიმიც.

საბინინი—ვაჭარი ნამდვილ სახეს იძლევა მეორე და მესამე მოქმედებაში, ხოლო მეოთხე მოქმედებაში კი სასურველია უფრო დამთავრებული შესრულება აქ საჭიროა ხაზგასმულ იქნეს სიამაყე და იმავე დროს ღრმა სევდა.

მეფის მაჰანკლის—დომნა საბუროვას მშვენიერი სახე მოგვცა დობრჟანსკაიამ.

კურბატოვმა სისწორით და დამთავრებულათ შეასრულა მეფის მკურნალის პარტია. კარგი იყო სცენა ლიუბაშასთან.

ვახო ფალიაშვილმა სისწორით გადმოგვცა ორკესტრის სილამაზე და ლეიტმოტივები; ორკესტრი მის ხელში კოლორიტულ მელოდიურ სურათს იძლევა.

ბლაგოობრაზოვი მშვენივრათ მღერის, მაგრამ ის ვერ იძლევა სასტიკ მედროვეს სახეს. შეუფერებელია გრიმიც.

თეატრი სავსე იყო ხალხით.

მუსიკოსი.

— **მოხსენება ეინშტეინის თეორიაზე.** კვირას, 2 დეკემბერს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება საჯარო სხდომა. მოხსენებებს წაიკითხავენ გრ. რობაქიძე და პროფ. რაზმაძე. თემა: ალბერტ ეინშტეინი.

— **სრ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს პლენუმი.** კვირას, 2 დეკემბერს, დილის 11 საათზე დანიშნულია სრ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა. წინადადება ეძლევათ წევრებს, სხდომას აუცილებლათ დაესწრონ.

— **გაზ. „კომუნისტის" ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი".** კვირას 2 დეკემბერს გამოვა გაზ. „კომუნისტი"-ს ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი". დამატების ფურცელში მოთავსებული იქნება პროლეტარულ მწერლებისა და პოეტების შემოქმედება. დამატება იქნება ორკვირეული.

— **ემილ ვერჰარნი ქართულად.** პაოლო იაშვილმა ფრანგულიდან ქართულზე გადმოთარგმნა ემილ ვერჰარნის ლექსები, რომლებსაც ცალკე წიგნად სცემს სახელმწიფო გამომცემლობა.

— **პროლეტარულ პოეტების ანთოლოგია.** პროლეტარულ მწერალთა კავშირს განზრახვა აქვს იანვრისათვის გამოსცეს პროლეტარულ პოეტების ანტოლოგია, შიგ შეტანილ მწერალთა მოკლე ბიოგრაფიებით და პორტრეტებით.

— **ქართულ დრამატიულ ტეხნიკუმში.** პროლეტკულტთან არსებული ქართული დრამატიული ტეხნიკუმი ვ. გარრიკოს რეჟისორობით ამზადებს შილლერის „ყაჩაღებს“, რომელიც წარმოდგენილი იქნება იანვარში.

დღეს თეატრებში:

— **სახელმწიფო ოპერა.** პროფკავშირის წევრებისათვის „ქეთო და კოტე“.

— **რუსთაველის თეატრი.** „უბედურება“ „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“—პროფკავშირის წევრებისათვის.

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

— **პროლეტკულტში.** დღეს, საღამოს 6 საათზე დაიწყება მეცადინეობა პროლეტკულტის ტეხნიკუმის ქართულ სალიტერატურო განყოფილებაში.

პროვინციაში

გურიის საბჭოთა მეორე ყრილობა

25 ნოემბერს ქ. ოზურგეთში გაიხსნა გურიის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა მეორე სამაზრო ყრილობა. ყრილობას ხსნის მოკლე მისასალმებელ სიტყვით სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ანდრო დოლიძე. ყრილობა ფეხზე ადგომით პატივს სცემს, გურიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებულ გმირებს, რომლებიც დაეცენ ბრძოლაში ბანდიტების წინაამდეგ, ყრილობას ესწრება 125 დელეგატი გადამწყვეტი ხმით.

ყრილობა ადგენს გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს, ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ამ.-კავკ. სახალხო კომისართა საბჭოს.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: მ. ცხაკაია, ა. დოლიძე, მგალობლიშვილი, თ. დოლიძე, თ. ჩიჩუა, ფარნიევი, მ. ლომინაძე, ნ. კობიძე, გურგენაძე.

ყრილობის სამდივნოში: მ. სიმვოლიდი, კ. ბარამიძე, ვ. რონიაშვილი.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ ლენინი, ტროცკი, სტალინი, ცხაკაია, მახარაძე, ორჯონიკიძე, ოკუჯავა.

ყრილობის მიერ დამტკიცებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1. საერთაშორისო მდგომარეობა; 2. სამაზრო აღმასკომის ანგარიში; 3. განათლების განყოფილების მუშაობა; 4. ადგილობრივი საგადასახადო პოლიტიკის საკითხები და წლიური ბიუჯეტის დამტკიცება; 5. კოოპერაცია; 6. არჩევნები სამაზრო აღმასკომის და საქ. ყრილობის დელეგატების; 7. მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. კახიანი, რომელიც დაწვრილებით ეხება გერმანიის თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობას, განმარტავს სხვადასხვა პარტიების მუშაობას გერმანიაში, ძალთა ურთიერთობას, და ბოლოს ლაპარაკობს გერმანიის კომუნისტური პარტიის ძალებზე და ამბობს, რომ ერთად-ერთი პარტია, რომელსაც შეუძლია იყოს ხელმძღვანელი მომავალ რევოლიუციაში, არის მხოლოდ კომუნისტური პარტია. მომხსენებელს აჯილდოებენ მქუხარე ტაშისცემით. იყო შეკითხვები, რომლებზედაც ამხ. კახიანმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი.

მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ გურიის მშრომელი ხალხი საჭირო მომენტში ფეხზე დადგება და მზათ არის გაუწიოს გერმანიის პროლეტარიატს აქტიური დახმარება.

სამაზრო აღმასკომის მუშაობის ანგარიშს ადგენს ამხ. ანდრო დოლიძე, რომელიც აღნიშნავს ყველა მიღწევებს აღმშენებლობის დარგში და შემდეგ ლაპარაკობს მომავალ ამოცანების შესახებ. მოხსენების და შეკითხვების დამთავრების შემდეგ, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც გასულ მუშაობას სამაზრო აღმასკომისას სთვლის სავსებით დამაკმაყოფილებლათ, ამასთან ავალებს ახლათ არჩეულ აღმასკომს, რათა დახარჯოს მაქსიმუმი ენერგია, როგორც წარსულში, საბჭოთა აღმშენებლობის დარგში, კერძოდ, პირველ რიგში, სულ მოკლე ხნის განმავლობაში, აუცილებლათ იქნას შეკეთებული ოზურგეთ-ჩოხატაურის გზა-ტკეცილი.

განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მარო ლომინაძე. ამხ. ეხება მაზრაში განათლების საქმის მდგომარეობას, შრომის სკოლის პრინციპებს, აღნიშნავს საჭირო ზომებს მომავალში მუშაობის სასურველ დონეზე დასაყენებლათ. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

საგადასახადო პოლიტიკის და წლიური ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. გურგენაძე. მოხსენების შემდეგ ყრილობის მიერ დამტკიცებულ იქნა წლიური ბიუჯეტი.

კოოპერაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ერქომაიშვილი, რომელიც ეხება კოოპერაციის მდგომარეობას მაზრაში. მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ.

სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ანდრო დოლიძე, გრიგოლ მგალობლიშვილი, თედორე დოლიძე, კოწია გურგენაძე, ვალოდია თავართქილაძე, მარო ლომინაძე, კოლია ბარამიძე, მიტო სიმვოლიდი, ნეოფიტე ჭეიშვილი, ივლიანე სურგულაძე, ფეოფილე ჩიჩუა, მიხაკო მკურნალი, პროკოფი ქლენტი; კანდიდატებათ: ვ. ერქომაიშვილი, მ. კილაძე, შ. გოგეშვილი.

სრულიად საქართველოს ყრილობაზე არჩეულ იქნენ: ფ. მახარაძე, ა. დოლიძე, გ. მგალობლიშვილი, კ. გურგენაძე, თ. დოლიძე, თ. ჩიჩუა, ი. სურგულაძე, გ. ყაჭეიშვილი, მ. ტაკიძე, ა. ტუსკია, ვ. თავართქილაძე, ნ. კობიძე, ვ. რონიაშვილი.

მიმდინარე საკითხებში მოსმენილ იქნა ნიგოითიდან განცხადება ქოლიპას ტბის გაშრობის და არხის გაყვანის შესახებ, სადაც უკვე მუშაობა დაწყებულია. ყრილობა აღუთქვამს ამ თემს დახმარების აღმოჩენას აღნიშნული ტბის გაშრობაში. მოსმენილ იქნა განცხადება ბახმაროს გზის გაყვანის შესახებ და სხვა. აღნიშნულ საკითხების ამოწურვის შემდეგ, ყრილობა ამთავრებს თავის მუშაობას და იხურება.

26 ნოემბერს, ყრილობის დელეგატებთან ერთად, მრავალი საზოგადოების თანადასწრებით მოხდა ოზურგეთ-ნატანების რკინის გზაზე ექსკურსია მატარებლით.

ლანიძე.

ბანძის რაიონი (სენაკის მაზრა)

ბანძა ერთი მოზრდილ თემთაგანია სენაკის მაზრაში. ამასთან ბანძა წარმოადგენს რაიონის როგორც კულტურულ, ისე ეკონომიურ ცენტრს. მას აქვს კარგი გზები, რომლითაც დაქსელილია მთელი სოფელი, აქ არის ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი, სახალხო სასამართლო, რაიონული მილიცია და სხვა.

ბანძა წარმოადგენს საბაზრო ადგილს, რომელიც იზიდავს ახლო-მახლო სოფლებს.

ბანძაში პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა სდგას თავის დონეზე. აქ ადგილობრივი ძალების მეოხებით რამდენიმე თვის წინად, დაარსებულ იქნა პროლეტარული დრამატიული დასი, რომლის ხელმძღვანელად მოწვეულია დ. ფალავა. ის დიდ ენერგიას ხარჯავს თეატრის აღორძინებისათვის, სისტემატიურად სდგამს წარმოდგენებს, უმეტესად რევოლიუციონური შინაარსის პიესებს. წარმოდგენებს აურაცხელი ხალხი ესწრება. რაც შეეხება თეატრის შენობას, უნდა ითქვას, რომ მაზრაში თითქმის იშვიაიათ ასეთი სახლი. ბანძის თემი მოიკოჭლებს ქოხ-სამკითხველოების მხრით. ამავე დროს კი ხალხი მოწყურებულია ცოდნას, ეტანება გაზეთებს, სურს გაიგოს დღევანდელი ამბები. ხალხს შეგნებული აქვს სამკითხველოების მნიშვნელობა.

ამის საილუსტრაციოთ მოვიყვან ერთ მაგალითს. ბანძის თემის ერთ კუთხეში, სახელდობრ ლეკაკელეში თვით ამ კუთხის მცხოვრებლებმა გახსნეს ქოხ-სამკითხველო. ამ სამკითხველოს ყველა ხალისით ეტანება, მას ისე უყურებენ, როგორც საკუთარ საქმეს და დიდი ნდობით ეკიდებიან. როდესაც ვეკითხები ერთ გლეხს, შესძლებთ თუ არა თქვენ სამკითხველოს დაარსებას და რით გინდათ დაფაროთ მასზე გაწეული ხარჯი-მეთქი, მან გადაჭრით მიპასუხა: უკანასკნელ ქათამს—კვერცხს გავყიდით მის სასარგებლოთო, ჩვენ დავიქირავებთ ერთს გამგეს, რომელსაც ეცოდინება წერა-კითხვა და როდესაც ყანის სამუშაოდან დავბრუნდებით, შევიყრით ერთად თავს და ხმა მაღლა წავაკითხებთ და გავიგებთ ქვეყნის ავ-კარგსაო.

მაგრამ არ კმარა მარტო საკუთარი ინიციატივა. ამას უნდა გამოეხმაუროს სოფლის კულტურული ძალა—ინტელიგენცია - მასწავლებლობა, რომელსაც მართებს, როდესაც ხედავს ასეთ სურვილს ხალხში, დაეხმაროს მას. უნდა გასწიონ ხალხში პროპაგანდა ქოხ-სამკითხველოების სასარგებლოდ. განსაკუთრებით ამას უნდა მიაქციოს ყურადღება მაზრის პოლიტ.-განათ. განყოფილებამ და აღმოუჩინოს დახმარება ლიტერატურით.

კირილე პატარაია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. ნოემბრის 26

ადგილობრივი ფულადი გადასახადების და გამოსაღების ვადის გადიდებისა, განაწილებისა და მოხსნისა და ამ გადასახადებით და გამოსაღებით არამართლიერად შესული თანხების დაბრუნების შესახებ.

1. განსაკუთრებულად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი გადამხდელის შუამდგომლობით შესაძლებელია ვადის გადიდება და განაწილება ყოველგვარი ადგილობრივი ფულადი გადასახადისა და გამოსაღებისა, ერთ წლიწადზე არა უმეტესი ვადით, ჯარიმისა და საურვის მიურიცხველად; აგრეთვე შესაძლებელია მოხსნა სრულიად ან ნაწილობრივად ამ გადასახადებისა და მოსაღებისა.

2. იმ გადასახადისა და გამოსაღების ვადის გადადება და განაწილება, რომელიც გადაიხდევინება სამაზრო აღრიცხვის მიხედვით,—ას საჩერვონცო მანეთზე არა უმეტესი თანხისა თვითეული ცალკე გადასახადისა და გამოსაღებისათვის—მოხდება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ხოლო ამაზე მეტ თანხისა—ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ადგილობრივი გადასახადების განყოფილების დადგენილებით, რასაც დაამტკიცებს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული დადგენილებანი ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა საბოლოოა და არ განისაჩივრება.

3. ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების შეწერისა დანარჩენის მოხსნა გადამხდელის შუამდგომლობით, ან ისეთისა, რაც არამართლიერად არის მირიცხული ან და არასაიმედოა, როგორც შემოსავლელი, —აგრეთვე დაბრუნება არამართლიერად შემოსული ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების თანხებისა—მოხდება წინა (2) მუხლში აღნიშნული წესით.

4. არამართლურად შემოსული ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების თანხების დაბრუნებაზე გავრცელდება სამის წლის ხანდაზმულობა.

5. ამა დადგენილების შეფარდება განისაზღვრება ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის დამტკიცებული ინსტრუქციით.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.
ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.
ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
მ. თალიბლი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქ. კომ. პარტ. ტფ. კომიტ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** წინადადებას აძლევს ამხ. ნუცუბიძეს, ბუაჩიძეს და ბუხნიკაშვილს ორი დღის განმავლობაში გამოცხადნენ სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ტფ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების
გამგე მ. ესსენი.

— **საქ. კომ. პარტ. ტფ. ორგან. მე-IV საუბნო კომიტეტი** იუწყება, რომ შაბათს, 1 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საუბნო კომიტეტის ბინაზე (რუსთაველის პროსპექტი № 22) დანიშნულია

საუბნო კომიტეტის პლენუმი

საჭიროებულია დასწრება საუბნო კომიტეტის ყველა წევრებისა და კანდიდატებისა.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— წინადადება ეძლევა სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ საქართველოს ახალგ. კომკავშირის ცეკას სააღრიცხ. სასტ. განყ. შემდეგ წევრები:

ცინცაძე ალექსანდრე, ლომთათიძე აპალონ, გიორგაძე გრიგოლ, ცინცაძე ვალიკო, პაიჭაძე ალექსანდრე, პატარაია შალვა, მარშანია აპალონ, კალაძე მაქსიმე, ნებიერიძე კონსტანტინე, ქობალავა ივანე, მეგრელიშვილი ალექსანდრე, სიხარულიძე ალექსანდრე, ბაბილოძე პეტრე, გოგოლაძე თათიოზ, ბახტაძე ვალიკო, გაბუნია ლეონი, ხავთასი ვალიკო, კოდუა იოსები, სარიშვილი გიორგი, კიმოთიძე არჩილ, ნანუკაშვილი ევტიხი, ქერეჭაშვილი გიორგი, ხარაბაძე ვალერიან და მონიავა სერგო.

საქ. ა. კ. კავ. საალ. სასტ. განყ. გამგე ლეკიშვილი.

განათლების მუშაკთა სახლში.

— ორშაბათს, 3 დეკემბერს, საღ. 6 საათზე, ქართულ ენის მასწავლებელთა წრეში: ახალ პროგრამების გარჩევა.

— პარასკევს, 7 დეკემბერს, საღ. 7 საათზე, რუსული ენის მასწავლებელთა წრეში: 1. რუსული სინტაკსისის მეცნიერული გაშუქება პეშკოვსკისა. 2. პეშკოვსკის მიხედვით სწავლა ზმნის შესახებ.

სახლის გამგე შიუკაშვილი.

— დღეს, 1 დეკემბერს საღ. 5 საათ. პროფ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით პრაქტიკული მეცადინეობა მინერალოგიაში.

საღ. 8 საათ. ამხ. რებრუხის მოხსენება: მე-100 სკოლის ზაფხულის მუშაობის ცდა.

საღ. 6 საათზე გალობისა და მუსიკის მასწავლებელთა წრის სხდომა: 1) გალობისა და მუსიკის პროგრამის გარჩევა. 2) გან. მუშ. სახ. მუსიკალური სალამოების მოწყობა.

საღ. 7 საათზე ამხ. არუთინოვის ხელმძღვანელობით პოლიტეკონომიის წრეში მეცადინეობა.

სახ. გამგე შიუკაშვილი.
საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

ღრმად დამწუხარებულნი ვერა დიმიტრის ასული და ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 29 ნოემბერს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი—პირველის მამა, მეორესი სიმამრი, ხოლო უკანასკნელთა ბაბუა

დიმიტრი ივანეს ძე ერქომაიშვილი

პანაშვიდი პირველ დეკემბერს საღ. 4 საათ. გერმანელების საავადმყოფოში. გამოსვენება საავადმყოფოდან კვირას 2 დეკემბერს დილის 10 საათზე. დაკრძალვა მოხდება ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1—1 № 213.

გულდათუთქული ვაჟი ვალი ახეპოდისტე ხისტოვის ძე ჯაფარიძე, ქალიშვილები: სონია, ნუჩია, ალექსანდრა, აგრაფენა, ნინიჩკა, ქრისტინა ცაბურია და სიძეები იოსებ სიმონის ძე აბესაძე, სოლომონ გრიგოლის ძე მენაბდე, ნიკიფორე გრიგოლის ძე გეგელია, და ანდრო სამსონის ძე კანდელაკი, შვილის-შვილები გრიგოლ და დათიკო ჩიკვაიძეები, ლევან, ნინა და ლუბა აბესაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის საყვარელ

ანნა ხოსიას ასულის ჯაფარიძისას

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 2 დეკემბერს, დღის 1 საათზე (ყაზბეგის ქუჩიდან, სახლი № 3) ნიკოლოზის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. 204—2—2

ქ. ტფილისის მე-6 და მე-7 უბნის სასამართლოს

აღმასრულებელი კ. ძამოევი ამით აცხადებს, რომ ხუთ დეკემბერს 1923 წელს, დილის 10 საათზე, დანიშნულია გასასყიდათ საჯარო ვაჭრობით მოქალაქე სედრაკ ყაზარას ძის არუთინოვის უძრავი მამული, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისის მე-6 უბანში ქალაქის ტაბელით № 393 და შესდგება შენობებისაგან და შენობების ქვეშ მიწის ნაჭრისაგან, ზომით ერთი დესიატინა 1795 ოთხკუთხი საჟენი; შემდეგ მიჯნებში: აღმოსავლეთით ალავერდის ქუჩა, დასავლეთით მდინარე მტკვარი, ჩრდილოეთით არუთინოვის ხევი და სამხრეთით სანდრო ხაჩატუროვის ბაღის მიწის ნაჭერი. ამ მიწის ნაჭრიდგან იყიდება უფლება 1000 ოთხკუთხ საჟენზე ხსენებულ მიწის ნახევრისა. მამული ესე აწერილია გასასყიდათ და დასაკმაყოფილებლათ ვალისა აგასი სტეფანის ძე ასლანიანცის თანახმად ქ. თბილისის მე-7 უბნის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა ამა წლის 24—26 ივლისის დღისა, რომელიც აღნიშნულია აღმასრულებელ ფურცელში № 1264 და რომლითაც აგასი ასლანიანცს მისჯილი აქვს 580 ჩერვონცი, 23 ჩერვონცი სასამართლოს ბაჟი და საქმის საწარმოებელი. მამული ესე შეფასებულია 3 მილიარდი მანეთი. ვაჭრობა მოხდება დილის 10 საათზე, ქ. თბილისში მე-6 უბანში, ალავერდის ქუჩა, სადაც იმყოფება ზემოხსენებული ქონება. გასასყიდი მამულის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე სასამართლოს აღმასრულებელთან მის კამერაში (სუფკარაპეტის ხევი № 3) დილის ცხრიდან 11 საათამდის. ვაჭრობის მსურველები საჯარო ვაჭრობის დღეს ვალდებულნი არიან წარმოადგინონ 1|10 შეფასებულ ჯამისა, აგრეთვე მოწმობა თბილისის კომუნალურ განყოფილებიდან მას შინა, რომ მყიდველს არა აქვს უძრავი ქონება.

სასამართლოს აღმასრულებელი კ. ძამოევი.
212—1—1

ქ. ტფილისის მე-3 რაიონის სასამართლო

აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს. რომ ის 5 დეკემბერს ამა 1923 წ. დილის 10 ს. სახლში № 10 ლერმონტოვის ქ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის იულია თაიროვის ხალიჩას 9 არ.X6 არ., აწერილს ლევ ზენიაშას 36 ჩერვონცის და 6 ჩერვ. მან. პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე 9 რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 21 ნოემბერი—1923 წ. თარიღით, № 1442, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ხალიჩა შეფასებულია 10 ჩერვონცად.

სასამართლო აღმასრულებელი ა. გეგეჭკორი.
211—1—1

ამიერ-კავკასიის საბაჟო

სამმართველოსაგან

თანახმად ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, 1923 წლის 17 მაისის დადგენილების მე-3 მუხლისა, ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას ტერიტორიაზე დაიწყება დაღის დასმა უცხოეთის იმ საქონელზე, რომელიც ექვემდებარება საბაჟოს სავალდებულო დადაღვას, ასეთი საქონლის არსებული სიისა და ამასთანავე გამოცხადებული წესების თანახმად.

დაწვრილებითი ცნობების გაგება დადასასმელ საქონლის შესახებ, დაინტერესებულ დაწესებულებათ, ორგანიზაციებს, წარმოებათ და კერძო პირთ შეუძლიათ მიიღონ ადგილობრივ საბაჟოში, ხოლო სადაც საბაჟო არ არსებობს, დაღის დამსმელ განსაკუთრებულ კომისიაში.

საქონლის პატრონთა სათანადო განცხადების შემოტანის ვადის დასაწყისად ჩაითვლება ამ განცხადების გამოქვეყნების დღე საბაჟოში, ხოლო სადაც საბაჟო არ არსებობს—ის დღე, როდესაც მოქმედებას დაიწყებს დაღის დამსმელი საგანგებო კომისია.

ამიერ-კავკასიის საბაჟოს სამმართველოს გამგე თავზერიძე.

საქმეთა მმართველი ენუქიძე.

დანართი: რეგისტრაციისა და დაღის დასმის წესები.

(ნის. 752—3—1

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერატიულ რესპუბლიკის საზღვრებში

სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და კერძო პირების ხელში არსებულ საქონლის რეგისტრაციის და დადაღვის

წესები

1. სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, საქონლის წარმოებებში და კერძო პირების ხელში არსებული უცხოეთის საქონელი საბაჟოდან გაშვების დროს უნდა იქნეს აუცილებლად დადაღული იმ შემთხვევაში, თუ არ აქვთ საბაჟო ნიშანი, ხოლო სააქციზო საქონელს უნდა დაეკრას ბანდეროლი.

2. პირველ მუხლში დასახელებული დაწესებულებები, ორგანიზაციები და პირები აძლევენ მახლობელ საბაჟოში, ხოლო სადაც ასეთი არ მოიპოება, სპეციალურად ამ მიზნით დაარსებულ კომისიაში, განცხადებებს საქონლის დადაღვის შესახებ საქონლის ადგილმდებარეობის აღნიშვნით, ორ ეგზემპლიარათ.

3. კომისიები არსდებიან იმ ადგილებში, სადაც არ არის საბაჟო დაწესებულება, კონტრაბანდასთან მებრძოლ რაიონულ კომისიების მითითებით; კომისიაში შედიან საზღვრის დამცველი რაზმების და საგანგებო კომისიის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები პირველთა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებით, ხოლო თუ უკანასკნელი არ არის,—ადგილობრივ აღმასკომის რწმუნებით, საბაჟოს წარმომადგენელის თავმჯდომარეობით.

4. ადგილების და პუნქტების განაწილებას ახდენს კომისია. (მუხ. 3-ე) ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველოს საბაჟო საინსპექტორო რაიონები დადაღვისათვის შემდეგია:

ა) საქართველოს და აფხაზეთის საბაჟო საინსპექტორო რაიონები: ოზურგეთი, ქუთაისი, ხონი, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, ყვირილა, ბაღდადი, გორი, თელავი, შულავერი, სიღნაღი, მანგლისი, ქედა, ხულო, აჭარის წყალი, ახალციხე, ახალქალაქი, დუშეთი, ბორჯომი, ცხინვალი, აბასთუმანი, ლანჩხუთი, საჯევახო.

ბ) აზერბეიჯანის საბაჟო საინსპექტორო რაიონები სადგურებზე: აჯიკაბული, ქიურდამირი, ევლახი, ლიაკი, განჯა, აკსტაფა, ხოჩმასი, ხუდადი, დიალამა, ქალაქებში: კაზახი, განჯა, ტერტერი, აგდაში, აგდამი, კუმა, სალიანი, შუშა, თემირ-ხან-შურა, და სოფლებში: ბარდა, არიშიო, ასტრახანკა, გოკ-ტეპე, კალამაზარი, ვანქი, ხოლი, პეტროპავლოვკა, კარაიაგინო, ზანქელანი და მინჯავანი.

გ) სომხეთის და ნახიჩევანის მხარის საბაჟო საინსპექტორო რაიონები, ქალაქებში: ნახიჩევანი, ერევანი, ვაგარშაპატი, ნოვობაიაზეთი, კარაკლისი, ჯელალოღლი, დელიჟანი, ვარანცოვკა და კატარის ქარხნები.

შენიშვნა: აღნიშნულ პუნქტების და საბაჟოების მახლობლათ მდებარე ადგილებში განცხადებები საქონლის დადაღვის შესახებ შეტანილ უნდა იქნენ ან მახლობელ საბაჟოში და ან აღნიშნულ პუნქტებში კომისიის სახელზე.

5. საქონლის დადაღვა საბაჟოებში ან იქ, სადაც ასეთი ინახება (4 მუხ.):

ა) საქონელის დადაღვისათვის საბაჟოში აღებულ იქნება სახელმწიფო გადასახადი და აგრეთვე ამ სამუშავოსათვის საბაჟოებში დაწესებული ფასი.

ბ) საქონელის საბაჟოს გარეშე დადაღვისათვის აღებულ იქნება სახელმწიფო გადასახადი და აგრეთვე სპეციალურათ ამისათვის დაწესებული ფასი; ამავე დროს თანამშრომლების გასაგზავნათ გამოწვეულ ხარჯებს ანაზღაურებს ის ორგანიზაცია, რომელთანაც საბაჟო სამმართველოს დადებული აქვს ხელშეკრულება საქონლის დადაღვის შესახებ.

6. საქონლის დადაღვა ხდება 1922 წლის 6 ნოემბრის წესების მიხედვით (საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1922 წ. ბრძანება № 284) შემდეგი დამატებებით და ცვლილებებით, აგრეთვე ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველოს მიერ გამოცემულ სიით იმ საქონლის, რომელზედაც ვრცელდება დადაღვა. დადაღვა ხდება საბაჟოების განკარგულებაში არსებულ სადაღავ ხელსაწყოებით, ხოლო თუ საბაჟოებს არ ჰქონდეთ ახალი შტამპები, საქონლის დადაღვა შეიძლება ომამდე არსებულ შტამპებითაც.

7. გადასახადი დადაღვისათვის გადახდება საქონლის მეპატრონეს წესებში შემუშავებული ნიხრით, მასთან ერთად მიიღლილი იქნება ხარჯები საბაჟო დაღის დასმისათვის გაწეულ მუშაობის. ხელფასს ამ სამუშაოსათვის განსაზღვრავს ა. კ. საბაჟო სამმართველო.

8. ვადა განცხადებების მისაცემად ინიშნება: დედა-ქალაქებისათვის ერთი კვირა, დანარჩენ ქალაქებისათვის ხუთი დღე, ხოლო სოფლებისათვის სამი დღე. ადგილებზე ამის შესახებ განცხადების მისვლის შემდეგ.

დამატებითი განცხადებების მიცემა და აგრეთვე ვადის გასვლის შემდეგ განცხადების შეტანა არ შეიძლება.

9. საქონელი, რომელიც მერვე მუხლში აღნიშნულ ვადის განმავლობაში არ იქნება წარდგენილი დასადაღავათ, ითვლება კონტრაბანდათ და ჩამორთმეული იქნება ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. სოც. რესპუბლიკის 1922 წ. 30 დეკემბ. № 72 ბრძანების წესით.

საბაჟოს სამმართველოს უფროსის მაგიერ: კ. თავზერიძე.

(კრ. 751 3—1)

ქ. ტფილისის მე-6 და 7 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ძამოევი ამით აცხადებს, რომ 1923 წ. დეკემბრის 8 დღესა დილის 11 საათზე დანიშნული აქვს გასაყიდათ საჯარო ვაჭრობით ორი უძრავი ქონება მოქალაქე გრიგორი სტეფანეს ძე პაპოვისა, 1) მდებარე კახეთის ქუჩაზე № 18 ნახევარ ნაწილის უფლებიდან ნაკვეთი მიწისა ზედდგმულ შენობებით საერთო ზომით 41,03 კვ. საჟ. შემდეგ მიჯნებში ჩრდილოეთით მამული ბადალ პაპოვის, აღმოსავლეთით ალაბაზ ავეტისოვის, სამხრეთით კახეთის ქუჩა და დასავლეთით კონდრატენკოს ქუჩა. და 2) ნახევარ ნაწილის უფლებიდან მდებარე იმავე უბანში ყუბის ჩიხი № 2. ნაკვეთ მიწაზე ზედდგმულ შენობებით საერთო ზომით 146,7 კვად. საჟ. შემდეგი მიჯნებში: ჩრდილოეთით ალიხანოვის მამული, სამხრეთ-აღმოსავლეთით მამული ყვეზერელი-კოპაძისა, სამხრეთ-დასავლეთით პაპუაშვილის მამული, ჩრდილოეთ-დასავლეთით ყუბის ჩიხი. მამულები ესე აწერილია გასაყიდათ და დასაკმაყოფილებლად ვალისა მოქალაქე ოგანეზ ალექსანდრეს ძე თათარიანცის თანახმად მე 6 უბნის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა ა. წ. 28 სექტემბრისა № 2005 თანხით 1,96 ჩერვონეცი და სას. ბაჟი 74 მილ. მან. პირველ მამული შეფასებულია 15 ჩერვონეც მეორე 40 ჩერვონეცი. საჯარო ვაჭრობა მოხდება იქ სადაც იმყოფება ზემონაჩვენები მამულები დილის 11 საათზე 1923 წ.

ვაჭრობით მსურველები საჯარო ვაჭრობის დღეს ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ერთი მეათედი შეფასებულ ჯამისა, აგრეთვე მოწმობა მასში, რომ მყიდველს არა აქვს უძრავი ქონება. მოწმობა უნდა ჰქონდეს მიღებული ტფილისის კომუნალ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილებიდან.

სასამართლოს აღმასრულებელი მე 6 და 7 უბნებისა კ. ძამოევი.
№ 209 1—1

ამინდი ამიერ-კავკასიაში

29 ნოემბერი, დილის 7 საათი

ტემპერატ. (ცელსით): სოხუმში —10 გრად. ფოთში—12 გრ., ბათომში —16 გ., სამტრედიაში 11— გრ., ქუთაისში 10 გრ., აჯამეთში—10 გრ., ჭიათურაში—9 გრ., წიფაში—8 გრ., ბორჯომში—8 გ., სურამში—9 გრ. ტფილისში—10 გრად., მუკუზანში—10 გრ., ერევანში—8 გრ., ბაქოში—12 გრ.

ღრუბლიანობა: ყოველგან სრული, ბაქოს გარდა სადაც სულ მცირეა.

ქარის ქროლა: ფოთში და ბათომში—სამხრეთ აღმოსავლეთის, ნელი; ტფილისში—ჩრდილოეთის ნელი; ბაქოში— ჩრდილოეთი და ჩრდილოეთ-დასავლეთის, ნელი. დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ წყნარი.

წვიმა: ძლიერი სოხუმში, საშუალო ქუთაისში და აჯამეთში, უმნიშვნელო: ფოთში, ბათომში, სამტრედიაში, ჭიათურაში, წიფაში, სურამში.

ზღვის მდგომარეობა ნაპირებთან: ფოთში—ოდნავი ღელვა, ბათომში, ბაქოში (ლენქორანი) სიწყნარეა.

ამინდი საქართველოში:

მოღრუბლულია, გრილა. დასავლეთ საქართველოში და ალაგ-ალაგ აღმოსავლეთშიაც წვიმებია. აღმოსავლეთ ნაწილში არის ყინვაც.

ჩრდილოეთ-კავკასიაში

კაზბეგი: ტემპერატურა—3 გრ., ღრუბლიანობა—სრული, ქარის ქროლა—სამხრეთ-დასავლეთის, წყნარი. [illegible]: ტემპერატურა—6 გრ. ღრუბლიანობა — სრული, ქროლა — ჩრდილოეთ დასავლეთის წყნარი.

ტფილისი

30 ნოემბერი, დღის 1 საათი

ტემპერატურა: 7 გრ.

ღრუბლიანობა: 10 (ნელი წვიმა).

ქარის ქროლა: სამხრეთ-აღმოსავლეთის, ნელი.

გუშინ საღამოს ტემპერატურა როგორც მოსალოდნელიც იყო, წია 14 გრადუსამდე (დილის 7 საა რაც აღემატება ერთი გრადუ წინანდელი დღის შუადღის ტემპერატურას. ქარი, რომელიც დილ იყო ჩრდილოეთ-დასავლეთის, მიერი, დილის 10 საათზე უე მოტრიალდა 180 გრადუსით, იგი იწყო ქროლა სამხრეთ-აღმოს ლეთიდან, რაც ბარომეტრის აწ გამო იწვევს წვიმას, რაც კი მოხდა; ტემპერატურის აწევა შე ყდა. საერთოდ ჰაერის დაწოლ ძლიერ იმატა; მაგალითად, ასტრ ხანში ჰაერის დაწოლა დღე და ღამ გაძლიერდა 16 მილიმეტრით, რ იშვიათი შემთხვევაა.

ამინდის ცვალებადობა: 1 დეკემბრისათვის ამინდის გაუმჯობესება არ არის მოსალოდნელი.

ქალაქის აღმასკომის

საფინანსო განყოფილება

ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ თანახმად პ ზიდიუმის დადგენილებისა ოქმი № 25 ზაჰესკომის სასარგებლ დარაბის და სხვა ქალაქის საიჯარო ქონების გადასახადს, გარდა ცხოვრებელ ბინის ქირისა, ა. წ. 1 დეკემბრიდან დაემატ 5 პროც.

საფ. განყ. გამგე: ვ. ფიალკოვსკი. 754—1—1

ტფილისის აღმასკომის საადგილმამულო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ კვირას ა. წ. 2 დეკემბერს დილის 12 საათზე აღმასკომის დარბაზში განყოფილებასთან დანიშნულია შეჯიბრებითი წესით ქალ. ტფილისში მდებარე შემდეგი ბაღ-ბოსტნის საჯარო ვაჭრობა:

1)	ყოფილი ზუბალოვის . . .	პლეხანოვის პრ. № 180
2)	„ რიჩის	პლეხანოვის პრ. № 115
3)	„ ჩილინგაროვის . .	პლეხანოვის პრ. № 67—69
4)	„ ოვაკიმოვის . . .	პლეხანოვის პრ. № 187
5)	„ რეზუნოვის . . .	კამოს ქუჩა № 56
6)	„ ზარგარიანცის . .	ორთაჭალა
7)	„ გვაზალოვის. . .	ნავთლუღი
8)	„ არზუმანოვის. . .	რეიტერის ქუჩა № 60—94
9)	„ მურადოვის . . .	კრწანისი
10)	„ კუჩენბახი . . .	კრწანისი
11)	„ მარტიროზოვი . .	კრწანისი
12)	„ მესხიევის . . .	კრწანისი
13)	„ ბეგოვი . . .	კრწანისი
14)	„ დანელია . . .	კრწანისი
15)	„ ლეჟავა. . . .	ვერა
16)	„ ჯონყაზარაშვილი .	ავლაბარი
17)	„ ბერელაშვილი . .	დიდუბე
18)	„ თამამშევის . . .	ნავთიქალა

ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ საჭიროა საწინდარი 1 ჩერვონეცი. დაწვრილებითი ცნობების მიღება იჯარით აღების მსურველებს შეუძლიათ მიიღონ ყოველდღე განყოფილებაში. (ოთახი № 31).

კრ. 750 3—2 განყოფილების გამგის მაგ. ვაჩაძე.

ა. წ. დეკემბრის 2-ს დილის 10 საათზე

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სააღმშენებლო სატეხნიკო კომიტეტის შენობაში (პუშკინის ქ. № 8 მე-2 სართ ლი) დაბეჭდილ პაკეტების შეტანის საშუალებით დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ს. მ. უ. ს. საბჭოს შენობის შესაკეთებლად სამუშაოს ნარდათ აღ ბის შესახებ, რომლის სახარჯთაღრიცხვო თანხა გამოიხატება 1000 ვონულ მანეთამდე.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შე ტანონ განცხადება დაბეჭდილ პაკეტებში სანარდო ჯამის რაოდენობ ჩვენებით და ს. მ. უ. ს. ფინანსიურ განყოფილების სალაროში დეკემბ 1-ს ათი ჩერვონეცის შეტანით.

კონდიციების გაცნობა შეიძლება ყოველდღე ს. მ. უ. ს. სააღმ ნებლო სატეხნიკო კომიტეტში.

საჯარო ვაჭრობაზე არ იქნებიან დაშვებულნი ის მონარდეები, რო ლებსაც ს. მ. უ. ს. საბჭოდან სარეგისტრაციო მოწმობები მიღებული ექნებათ.

ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველის მოადგილე იაშვილი. № 208. 1—1

ქ. ტფილისის მე-6 და 7 უბნ. სასამართლოს აღმასრულებელი

ქ. ძამოევი ამით აცხადებს, რომ 5 დეკემბერს 1923 წელსა, დილ 10 საათზე, დანიშნულია გასასყიდათ საჯარო ვაჭრობით მოქალაქის სე რაკ ყაზარის ძის არუთინოვის უძრავი მამული, რომელი მდებარეობს ქალ ტფილისის მეექვსე უბანში, ქალაქის ტაბელით № 393, და შესდგება ნობებისაგან და შენობების ქვეშ მიწის ნაჭრისაგან, ზომით 1 დესიატ 1795 ოთხ. საჟენი, შემდეგ მიჯნებში: აღმოსავლეთით ალავერდის ქ დასავლეთით მდინარე მტკვარი, ჩრდილოეთით არუთინოვების ხევი სამხრეთით სანდრო ხეჩუმოვის ბაღი. ამ მიწის ნაჭრიდან იყიდება უფლ 1.000 ოთხ. საჟენზე ხსენებულ მიწის ნახევრისა.

მამული ესე აწერილია გასასყიდათ და დასაკმაყოფილებლად ვალ საქართველოს კოოპერატიული ბანკისა თანახმად ქ. ტფილისის მე 7 სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა, ა. წ. 7 სექტემბრის დღ რომელიც აღნიშნულია აღმასრულებელ ფურცელში № 1269 და რომლი ბანკს მისჯილი აქვს 742 ნახ. ჩერვონეცი, 6 პროც. წლიური სარგებ ამ თანხაზე ა. წ. 11 აგვისტოდან, 29,7 ჩერვონეცი სასამართლოს ბაჟ საქმის საწარმოებელი 74 ერთიმეოთხედი ჩერვონეცი.

მამული ესე შეფასებულია 20 ჩერვონცათ. ვაჭრობა მოხდება დი 10 საათზე, ქ ტფილისში, მე-6 უბანში, ალავერდის ქუჩაზე, სადაც ფება ზემოხსენებული ქონება.

გასასყიდ მამულის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ სასამართლოს აღმასრულებლის კამერაში (სუპ. კარაპეტის ხევი, 3) ლის 9-დან 11 საათამდის.

სასამართლოს აღმას. ქ. ძამოევი. № 753, 1—1

დავკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი ავეტიკა ოგანოვის სახელ ჩაითვალოს გაუქმებულად. 206—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა გიორგი ტოროშელიძის სახელ ჩაითვალოს გაუქმებულად. 207—1—1

დავკარგე გემო-კვების კავშირის საწევრო წიგნაკი № 3649 მარ მიქელაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 1023 იოსებ გუკასოვის ტერ-ოსეპიანცის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გა მებულად. 210—1—1

დავკარგე საოპერო სასეზონო ბილეთი „კომუნისტის“ რედაქცი სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 215

ამიერკავკ. სტამბა წულუკიძის № 4-ქ.